



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო



**აღმინისტრაციული ჩესუნსების გამოყენება
საქართველოს პარლამენტის 2020 წლის აჩვუნებისთვის
(საბოლოო ანბანი)**

2020 წლის დეკემბერი

კვლევის ავტორები

გიგი ჩიხლაძე

თამთა კახიძე

კვლევის თანაავტორი და ხელმძღვანელი

ლევან ნატროშვილი

ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის ანდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



ძირითადი მიგნებები	4
შესავალი	7
თავი I. რას გულისხმობს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება	
საარჩევნო მიზნით	8
თავი II. აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება	9
1. ძალადობა, მუქარა, ზენოლა და მათზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება	10
1.1 წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი შემთხვევები	10
1.2 არჩევნების დღეს მომხდარი შემთხვევები	15
1.3 არჩევნების დღის შემდეგ მომხდარი შემთხვევები	15
2. პოლიტიკური პარტიების ქონებისა და სააგიტაციო მასალის განადგურება და მათზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება	16
3. ცესკოსთან შეკრებილი დემონსტრანტების წინააღმდეგ წყლის ჭავლის გამოყენება	17
4. სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება	18
5. არჩევნების დღეს და მის შემდეგ შედგენილი საჩივრების განხილვა	19
5.1. არჩევნების დღეს გამოვლენილი დარღვევები	20
5.2. საჩივრები, რომლებიც ოქმში დაფიქსირებულ დისბალანსს ეხებოდა	20
5.2.1. საჩივრების განხილვა საოლქო საარჩევნო კომისიებში	20
5.2.2. საჩივრების განხილვა რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში	22
5.2.3. საჩივრების განხილვა სააპელაციო სასამართლოებში	22
5.2.4. მარნეულის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული გაყალბების ფაქტის შესახებ წარდგენილი საჩივრისა და სარჩელების განხილვა	22
6. საუბნო და საოლქო კომისიების პროფესიული ნიშნით დასანიშნი წევრების შერჩევის პროცესი	26
7. „კარტოგრაფების საქმე“	26
8. პოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერების ფარული ჩანაწერების გავრცელება	29
9. „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“ კარვების საქმე	30
თავი III. სამართლებრივი ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება	32
1. საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მანკიერი წესი და პროცედურა	33
2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება N45/20	33
თავი IV. ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება	35
1. საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა მობილიზება და წინასაარჩევნო აგიტაციაში ჩაბმვა	35
2. სავარაუდოდ უკანონო აგიტაცია	35
2.1. აგიტაცია სოციალური ქსელის პირადი ანგარიშების მეშვეობით	36
2.2. სხვა შემთხვევები	36
3. აგიტაცია ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების გამოყენებით	37
თავი V. ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება	39
რეკომენდაციები	43

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ 2020 წლის 1 ივლისიდან 22 ნოემბრამდე საპარლამენტო არჩევნებისთვის განხორციელებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოსთვის კვლავ პრობლემურია. ძალადობის შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიება, საჯარო ინსტიტუტების, მათ შორის საარჩევნო კომისიების პოლიტიზება და მმართველი პარტიის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა მობილიზება საარჩევნო კამპანიისთვის, საგამოძიებო უწყებების გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტირებისათვის და სხვა მანკიერი ტენდენციები არჩევნებიდან არჩევნებამდე მოუგვარებელ საკითხებად რჩება:

აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება

აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მხრივ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოვლინდა.

- **ძალადობა:** სექტემბრის მეორე ნახევრიდან გახშირდა ძალადობრივი ინციდენტების რაოდენობა, დაფიქსირდა პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებზე ჯგუფური ძალადობის რამდენიმე ფაქტი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტები. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძალადობის ყველა ფაქტზე დაიწყო გამოძიება და ცალკეულ შემთხვევებში სწრაფადვე დააკავა რამდენიმე პირი. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 20 ოქტომბრის მდგომარეობით, დაწყებული იყო გამოძიება 59 საქმეზე, რომლებიც არჩევნებთან ამა თუ იმ ფორმით შეიძლება იყოს დაკავშირებული. 6 საქმეზე გამოძიება შეწყდა, ხოლო დანარჩენ 53 შემთხვევის გამოძიება კვლავ მიმდინარეობს. ამ 53 საქმიდან 9 საქმეში გარკვეული პირები მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. 20 ოქტომბრის შემდეგ განახლებული სტატისტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯერჯერობით არ გაუსაჯაროებია. გამოძიებულ საქმეთა დაბალი რაოდენობის გამო, სამინისტრო ხშირი კრიტიკის საგნად იქცა.
- **საკუთრების დაზიანება:** სექტემბრის მეორე ნახევრიდან, ასევე, გახშირდა პოლიტიკური პარტიების ოფისების, სატრანსპორტო საშუალებების, სააგიტაციო მასალის და სხვა ტიპის ქონების დაზიანების შემთხვევები. ასეთი ფაქტების გამოძიების მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ უფრო ნაკლებად ეფექტიანი იყო, ვიდრე ძალადობის საქმეების გამოძიებისას.
- **ცესკოსთან შეკრებილი დემონსტრანტების წინააღმდეგ წყლის ჭავლის გამოყენება:** პრობლემური იყო 8 ნოემბერს ცესკოს შენობასთან საპროტესტო აქციაზე შეკრებილი დემონსტრანტების წინააღმდეგ სამართალდამცველების მიერ სათანადო საფუძვლისა და გაფრთხილების გარეშე წყლის ჭავლის თავდაპირველი გამოყენების ფაქტი, რომლის დროსაც რამდენიმე პირი დაზიანდა. ცესკოს შენობასთან განვითარებული საპროტესტო აქციის დროს ადგილი ჰქონდა ასევე მედიის წარმომადგენლებისათვის პროფესიული საქმიანობის უკანონოდ ხელის შეშლის, ფიზიკური დაზიანების მიყენების და მათი კუთვნილი ტექნიკური საშუალებების დაზიანების ფაქტებს.
- **არჩევნების დღეს და მის შემდეგ შედგენილი საჩივრების განხილვა:** საყურადღებო იყო არჩევნების დღეს და მის შემდეგ მიმდინარე მოვლენები, გამოვლენილი დარღვევები და სამართლებრივი დავების პროცესი. არჩევნების მეორე დღიდანვე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხრიდან დაიწყო საუბარი არჩევნების შედეგების გაყალბების შესახებ. ასეთ ბრალდებებს ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ შედეგების შემაჯამებელ ოქმებში არსებული დისბალანსის ბევრი შემთხვევის არსებობამ შეუწყო ხელი. ეჭვები კიდევ უფრო გაღრმავდა ამ ფაქტებზე ზემდგომი საარჩევნო კომისიების (საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიები) და სასამართლოების მხრიდან საჩივრებისა და სარჩელების თაობაზე დაუსაბუთებელმა და ხშირ შემთხვევაში არაადეკვატურმა გადაწყვეტილებებმა. საბოლოო ჯამში, სხვადასხვა სუბიექტის მიერ წარდგენილი საჩივრებისა და სარჩელების აბსოლუტური

უმრავლესობა ან განუხილველი დარჩა და არ იქნა დაკმაყოფილებული. შედეგად, ყველა ოპოზიციურმა პარტიამ, რომლის კანდიდატებსაც მეორე ტურში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, არჩევნების შედეგების აღიარებასა და პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა.

- **სამსახურიდან გათავისუფლება:** საანგარიშო პერიოდში, ასევე, გავრცელდა რამდენიმე ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.
- **პრობლემები საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დროს:** წინა არჩევნების მსგავსად, წელსაც მნიშვნელოვან პრობლემად წარმოჩინდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული ნიშნით დასანიშნი წევრების შერჩევის პროცესი. განსაკუთრებით აღსანიშნავია #67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისია, რომელმაც დაქვემდებარებულ საუბნო კომისიებში 642 წევრიდან 102 კანონის მოთხოვნის უგელებელყოფით დანიშნა, კერძოდ, პროფესიული ნიშნით დანიშნა ისეთი წევრები, რომლებიც წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს პარტიების მიერ იყვნენ დანიშნული, ეს კი წელს ამოქმედებული ახალი რეგულაციით, უკანონოა. გარდა ამისა, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები საუბრობდნენ იმაზე, რომ ცალკეულ საოლქო და საუბნო კომისიებში პროფესიული ნიშნით ახალდანიშნული წევრები ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული არიან მოქმედ ხელისუფლებასთან, მუშაობენ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ან აქვთ ახლო ნათესაური კავშირი მმართველი პარტიის წარმომადგენლებთან. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ პერიოდულად ამოწმებდა მსგავს ინფორმაციას და მათი უმრავლესობა დასტურდებოდა.
- **საგამოძიებო უწყებების გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისთვის:** წინა არჩევნების მსგავსად, აღსანიშნავია საქართველოს პროკურატურის მიერ ყოფილი მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნოდ დისკრედიტაციის მცდელობა კონკრეტული გამოძიების გამოყენების გზით. კერძოდ, 7 ოქტომბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის ყოფილი წევრები დააკავა, რომლებსაც ბრალად საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევისკენ მიმართული ქმედების განხორციელება დასდო. გამოძიების დაწყების დრო, წინასაარჩევნო კონტექსტი, გამოძიების პროცესში შერჩევითი მიდგომის ნიშნები და მმართველი პარტიის ლიდერების მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით გაკეთებული პოპულისტური განცხადებები აჩვენს ეჭვს, რომ გამოძიება საარჩევნო მიზნებს ემსახურება და მიმართულია საქართველოს მოქალაქეებისთვის მცდარი წარმოდგენების შექმნისა და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისაკენ. ასევე წინა არჩევნების მსგავსად, კვლავ გავრცელდა ფარული აუდიო ჩანაწერები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერების მონაწილეობით. ჩანაწერების გავრცელების მიზანი, როგორც ჩანს, აღნიშნული პირების დისკრედიტაცია იყო. ამჟერადაც გაჩნდა ლეგიტიმური ეჭვი, რომ აღნიშნული ჩანაწერები ქართულმა სპეციალურმა სამსახურებმა შექმნეს და უცხოური ვებგვერდების მეშვეობით გაავრცელეს.

სამართლებრივი ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება

2020 წელს შეიცვალა პარლამენტის საარჩევნო სისტემა, საკანონმდებლო რეფორმა, ასევე, შეეხო სხვა საკითხებსაც, რომლებიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ძირითადად დადებითად შეაფასა. თუმცა, საარჩევნო კანონმდებლობაში კვლავ დარჩა რამდენიმე ისეთი ძირითადი პრობლემა, რომელიც მმართველი პარტიის სასარგებლოდ მუშაობს და რომელთა გამოსწორების პოლიტიკური ნება ხელისუფლებამ არ აჩვენა. ასეთ საკითხებს მიუკუთვნება:

- საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების არასამართლიანი წესი და პროფესიული ნიშნით კომისიის წევრების შერჩევის არასათანადო პროცედურა.

გარდა ამისა, გარკვეული კითხვები გააჩინა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ „კორონავირუსით“ ინფიცირებული პირების, ასევე, კარანტინში და იზოლაციაში მყოფი პირების არჩევნებში მონაწილეობის საკითხის რეგულირებამ.

ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსის რამდენიმე სახეობის გამოყენების ტენდენცია დაფიქსირდა:

- **სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების აგიტაციაში გამოყენება:** ტენდენციის სახე ჰქონდა მმართველი პარტიის საარჩევნო კანდიდატების მხრიდან სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვადასხვა საჯარო თუ კერძო პროექტის მონახულების პრაქტიკას. ასეთი შემთხვევები მთელი ქვეყნის მასშტაბით ფიქსირდებოდა და წინასაარჩევნოდ ხელს არ უწყობდა სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის მკაფიო ზღვრის არსებობას.
- **საჯარო მოსამსახურეთა მობილიზება:** წინა არჩევნების მსგავსად, აღსანიშნავი იყო საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა წინასაარჩევნო შეხვედრებზე მობილიზება,
- **უკანონო აგიტაცია:** ასევე, ადგილი ჰქონდა სავარაუდოდ უკანონო აგიტაციის რამდენიმე შემთხვევას. ამ არჩევნებზეც საარჩევნო კომისიები სოციალური ქსელების პირადი გვერდებით აშკარა აგიტაციის შემთხვევებს არ აღიარებდნენ საარჩევნო აგიტაციად, რაც პრობლემად რჩება.

ფინანსური ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება

2020 წელს არ დაფიქსირებულა ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტის ისეთი ცვლილება, რომლითაც დაირღვეოდა „საარჩევნო კოდექსი“. რაც შეეხება საარჩევნოდ მოტივირებულ ხარჯებს, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „კორონავირუსის“ გავრცელების გამო ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი 20-მდე სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივა, რომლებსაც საარჩევნო გარემოზეც ექნებოდა დიდი გავლენა. ამ ინიციატივებს შორის იყო რამდენიმე პროექტი, რომელიც, ცალსახად საარჩევნოდ მოტივირებული ხარჯების კატეგორიაში შეგვიძლია გავიყვანოთ.

2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები ჩატარდა, რომელში მონაწილეობაც 48 პოლიტიკურმა პარტიამ, ორმა საარჩევნო ბლოკმა და 11-მა დამოუკიდებელმა მაჟორიტარობის კანდიდატმა მიიღო. პარლამენტში მოსახვედრად საჭირო 1%-იანი ბარიერი პროპორციულ არჩევნებში 9 საარჩევნო სუბიექტმა გადალახა. 30-დან 17 მაჟორიტარულ ოლქში პირველი ტურის შედეგად ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, რის გამოც, 21 ნოემბერს დაინიშნა მეორე ტური. 17-ვე საარჩევნო ოლქში თითო კანდიდატი მმართველი პარტიას - „ქართული ოცნებას“ წარმოადგენდა. ვინაიდან ყველა ოპოზიციურმა პარტიამ, მათ შორის მათაც, რომელთა მაჟორიტარობის კანდიდატებსაც მეორე ტურში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, არჩევნების შედეგების აღიარებაზე, მეორე ტურისთვის საარჩევნო კამპანიის წარმოებაზე და პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა, მეორე ტურში ყველა ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გაიმარჯვა.

საარჩევნო პროცესებზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა, როგორც წესი, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას აქვს. ეს გავლენა იმდენად დიდი შეიძლება იყოს, რომ, ფაქტობრივად, არჩევნების შედეგებიც კი განსაზღვროს, შესაბამისად, ამ რესურსების გამოყენების შეზღუდვას ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ამ საკითხს უკვე მრავალი წელია იკვლევს. ოქტომბრის ბოლოს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გამოაქვეყნა შუალედური ანგარიში,¹ რომელშიც შეფასდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. ამჯერად ამავე საკითხზე გთავაზობთ საბოლოო ანგარიშს, რომლის საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2020 წლის 1 ივლისიდან 22 ნოემბრამდე დროის შუალედს.

აღნიშნულ პერიოდში ორგანიზაცია აღნუსხავდა ყველა შემთხვევას, რომლის დროსაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას ან მისი მსგავსი ეფექტის მქონე ქმედებას. ეს ფაქტები შესწავლილი და გადამოწმებული იქნა ორგანიზაციის იურისტების და 9 გრძელვადიანი რეგიონული დამკვირვებლის მიერ. იურისტების მიერ გადამოწმებულ იქნა რელევანტური შემთხვევების ქართულ საარჩევნო კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. გარდა ამისა, არჩევნების დღის მიმდინარეობას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ 600-მდე მოკლევადიანი მეთვალყურის შემწევობით დააკვირდა, რომელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეფასებულ იქნა საარჩევნო პროცესები და დაინერა შესაბამისი საჩივრები და სარჩევნები. ოპოზიციური პარტიების მიერ გამოცხადებული ბოიკოტისა და შესაბამისად კონკურენციის არარსებობის გამო, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობას მოკლევადიანი მეთვალყურეებით აღარ დაკვირვებია.

წინამდებარე ანგარიშში თავდაპირველად განმარტებულია ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების არსი და ტიპები. მომდევნო ოთხი თავი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების შესაძლო გამოყენების ზოგად ტენდენციებსა და კონკრეტულ შემთხვევებს მიმოიხილავს, ხოლო ბოლო თავში შეჯამებულია ორგანიზაციის რეკომენდაციები. საბოლოო ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებების გარკვეული ნაწილი შუალედური ანგარიშიდან არის აღებული.

1 ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის (შუალედური ანგარიში), „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 26.10.2020, <https://bit.ly/33PKCOK>

თავი I. რას გულისხმობს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნით

ადმინისტრაციული რესურსის და მისი საარჩევნო მიზნით გამოყენების ზუსტი და საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია არც ქართულ და არც საერთაშორისო კანონმდებლობაში არ არსებობს, თუმცა ამ საკითხს არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი ეხება და ცდილობს მასთან დაკავშირებით გარკვეული სახის ერთგვაროვანი მიდგომა ჩამოაყალიბოს. ამ დოკუმენტებისა და მეცნიერთა მოსაზრებების ანალიზზე დაყრდნობით ჩვენ ვიყენებთ ადმინისტრაციული რესურსების შემდეგ კატეგორიებს²:

ცხრილი 1. ადმინისტრაციული რესურსების სახეობები და საარჩევნოდ მათი გამოყენების მაგალითები

ადმინისტრაციული რესურსის ტიპი	არსი
აღსრულებითი	პოლიტიკური ოპონენტების, მათი მხარდამჭერებისა და ამომრჩევლების წინააღმდეგ სახელმწიფოს აღსრულებითი, მათ შორის ძალადობრივი, მექანიზმების შერჩევითად გამოყენება. მაგალითად, პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაკავება, დაშინება, ცემა, მუქარა, სამსახურიდან გათავისუფლება და სხვა სახის ზეწოლა.
სამართლებრივი (საკანონმდებლო და მარეგულირებელი)	საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო ინტერესების სასარგებლოდ/საწინააღმდეგოდ გამოყენება. მაგალითად, კანონის მიღება, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს რომელიმე პარტიას.
ინსტიტუციური	სახელმწიფო ინსტიტუტების ადამიანური და არაფულადი რესურსის, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ან/და მის მფლობელობაში მყოფი მედია და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო აქტივობების ხელშეწყობის ან ხელშეშლისთვის
ფინანსური	ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფულადი რესურსების მიმართვა რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო აქტივობების ხელშეწყობისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ძალიან ვიწროდ განმარტავს ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენებას და ხშირ შემთხვევაში ბევრი საკითხი რეგულირების გარეშე რჩება. კერძოდ, ადმინისტრაციულმა ორგანომ შეიძლება განახორციელოს რიგი ქმედებები, რითაც იგი კანონს არ დაარღვევს, თუმცა მის მიერ საზოგადოებისთვის განუვლი კონკრეტული სიკეთეები შეიძლება ისეთი სახით იქნეს მიწოდებული, რომ მას დიდი გავლენა ჰქონდეს ამომრჩევლის ნებაზე. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, რთულად გასავლდება ზღვარი სახელმწიფოსა და პარტიას შორის, რასაც ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტი³ ითხოვს.

აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენებაზე, მხედველობაში გვაქვს არამხოლოდ უშუალოდ ქართული კანონმდებლობის დარღვევა, არამედ კოპენჰაგენის დოკუმენტის სულისკვეთებისა და საყოველთაოდ აღიარებული საარჩევნო პრინციპების წინააღმდეგ მიმართული ქმედებებიც.

2 How to Monitor and Report on the Abuse of State Resources – an Introduction, Dr. Magnus Ohman, April 14, 2014
 3 ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტი: <http://www.osce.org/odihr/elections/14304>

თავი II. აღსრულებითი ადმინისტრაციული ჩასურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის აღსრულებითი ადმინისტრაციული ჩასურსის გამოყენების მხრივ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოვლინდა. სექტემბრის მეორე ნახევრიდან გახშირდა ძალადობრივი ინციდენტების რაოდენობა, დაფიქსირდა პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებზე ჯგუფური ძალადობის რამდენიმე ფაქტი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტები. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძალადობის ყველა ფაქტზე დაიწყო გამოძიება და ცალკეულ შემთხვევებში სწრაფადვე დააკავა რამდენიმე პირი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 20 ოქტომბრის მდგომარეობით, დაწყებული იყო გამოძიება 59 საქმეზე, რომლებიც არჩევნებთან ამა თუ იმ ფორმით შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული. 6 საქმეზე გამოძიება შეწყდა, ხოლო დანარჩენ 53 შემთხვევის გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა. ამ 53 საქმიდან 9 საქმეში გარკვეული პირები მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. 20 ოქტომბრის შემდეგ განახლებული სტატისტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალის მიხედვით არ გაუსაჯაროებია. გამოძიებულ საქმეთა დაბალი რაოდენობის გამო, სამინისტრო ხშირი კრიტიკის საგნად იქცა. საგამოძიებო უწყების მხრიდან არასათანადო გამოძიების წარმოება საარჩევნო აღსრულებითი ადმინისტრაციული ჩასურსის გამოყენების შემთხვევად მიიჩნევა. თავის მხრივ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიის“ სხდომაზე არაერთხელ განაცხადა, რომ ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერები, რომელთა წინააღმდეგაც განხორციელდა ძალადობა, სათანადოდ არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან.

ასევე, სექტემბრის მეორე ნახევრიდან გახშირდა პოლიტიკური პარტიების ოფისების, სატრანსპორტო საშუალებების, სააგიტაციო მასალის და სხვა ტიპის ქონების დაზიანების შემთხვევები. ასეთი ფაქტების გამოძიების მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ უფრო ნაკლებად ეფექტიანი იყო, ვიდრე ძალადობის საქმეების გამოძიებისას.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, გავრცელდა რამდენიმე ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

წინა არჩევნების მსგავსად, წელსაც მნიშვნელოვან პრობლემად წარმოჩინდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული ნიშნით დასანიშნი წევრების შერჩევის პროცესი. განსაკუთრებით აღსანიშნავია #67 ბუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისია, რომელმაც დაქვემდებარებულ საუბნო კომისიებში 642 წევრიდან 102 კანონის მოთხოვნის უგელებელყოფით დანიშნა, კერძოდ, პროფესიული ნიშნით დანიშნა ისეთი წევრები, რომლებიც წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს პარტიების მიერ იყვნენ დანიშნული, ეს კი წელს ამოქმედებული ახალი რეგულაციით, უკანონოა.

გარდა ამისა, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები საუბრობდნენ იმაზე, რომ ცალკეულ საოლქო და საუბნო კომისიებში პროფესიული ნიშნით ახალდანიშნული წევრები ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული არიან მოქმედ ხელისუფლებასთან, მუშაობენ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ან აქვთ ახლო ნათესაური კავშირი მმართველი პარტიის წარმომადგენლებთან. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ პერიოდულად ამონშებდა მსგავს ინფორმაციას და მათი უმრავლესობა დასტურდებოდა.

საყურადღებო იყო არჩევნების დღეს და მის შემდეგ მიმდინარე მოვლენები, გამოვლენილი დარღვევები და სამართლებრივი დავების პროცესი. არჩევნების მეორე დღიდანვე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხრიდან დაიწყო საუბარი არჩევნების შედეგების გაყალბების შესახებ. ასეთ ბრალდებებს ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ შედეგების შემაჯამებელ ოქმებში არსებული დისბალანსის ბევრი შემთხვევის არსებობამ შეუწყო ხელი. ეჭვები კიდევ უფრო გაღრმავდა ამ ფაქტებზე ზემდგომი საარჩევნო კომისიების (საოლქო და ცენტრალური საარჩევნო

კომისიები) და სასამართლოების მხრიდან საჩივრებისა და სარჩელების თაობაზე დაუსაბუთებელმა და ხშირ შემთხვევაში არაადეკვატურმა გადაწყვეტილებებმა. საბოლოო ჯამში, სხვადასხვა სუბიექტის მიერ წარდგენილი საჩივრებისა და სარჩელების აბსოლუტური უმრავლესობა ან განუხილველი დარჩა და არ იქნა დაკმაყოფილებული.

წინა არჩევნების მსგავსად, ალსანიშნავია საქართველოს პროკურატურის მიერ ყოფილი მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნოდ დისკრედიტაციის მცდელობა კონკრეტული გამოძიების შედეგების გამოყენების გზით. კერძოდ, 7 ოქტომბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის ყოფილი წევრები დააკავა, რომლებსაც ბრალად საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევისკენ მიმართული ქმედების განხორციელება ედებათ („სისხლის სამართლის კოდექსის“ 308-ე მუხლის პირველი ნაწილი). გამოძიების დაწყების დრო, წინასაარჩევნო კონტექსტი, გამოძიების პროცესში შერჩევითი მიდგომის ნიშნები და მმართველი პარტიის ლიდერების მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით გაკეთებული პოპულისტური განცხადებები აჩენს ეჭვს, რომ გამოძიება საარჩევნო მიზნებს ემსახურება და მიმართულია საქართველოს მოქალაქეებისთვის მცდარი წარმოდგენების შექმნისა და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისაკენ.

ასევე წინა არჩევნების მსგავსად, კვლავ გავრცელდა ფარული აუდიო ჩანაწერები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერების მონაწილეობით. ჩანაწერების გავრცელების მიზანი, როგორც ჩანს, აღნიშნული პირების დისკრედიტაცია იყო. ამჯერადაც გაჩნდა ლეგიტიმური ეჭვი, რომ აღნიშნული ჩანაწერები ქართულმა სპეციალურმა სამსახურებმა შექმნეს და უცხოური ვებგვერდების მეშვეობით გაავრცელეს.

პრობლემური იყო მრავალწინაპროტესტოაქციაზე შეკრებილი დემონსტრანტების წინააღმდეგ სამართალდამცველების მიერ სათანადო საფუძვლისა და გაფრთხილების გარეშე წყლის ჭავლის თავდაპირველი გამოყენების ფაქტი, რომლის დროსაც რამდენიმე პირი დაზიანდა. ცესკოს შენობასთან განვითარებული საპროტესტო აქციის დროს ადგილი ჰქონდა ასევე მედიის წარმომადგენლებისათვის პროფესიული საქმიანობის უკანონოდ ხელის შეშლის, ფიზიკური დაზიანების მიყენების და მათი კუთვნილი ტექნიკური საშუალებების დაზიანების ფაქტებს.

ბემოთ აღწერილი ტენდენციებისა და სხვა კონკრეტული ფაქტების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მოცემულია შესაბამის ქვეთავებში.

1. ქალაქობა, გუჯარა, ზეწოლა და მათზე საგანგებო მდგომარეობის ჩაბარება

1.1 წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი შემთხვევები

15 სექტემბერს **ბოლნისი**, დმანისი, თეთრიწყარო, წალკის ოლქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მაჟორიტარი კანდიდატის, კახა ოქრიაშვილის, მხარდამჭერებს თავს დაესხნენ.⁴ შსს-მ განაცხადა, რომ მომხდარს იძიებენ ჯგუფური ძალადობისა და სხვისი ნივთის დაზიანების მუხლებით.⁵

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით,⁶ 16 სექტემბერს **ბოლნისის** მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურში ბოლნისის საკრებულოს „ქართული ოცნების“ წევრი, ვუგარ ისაევი, ტელეკომპანიის ჟურნალისტს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და დანით დაჭრით დაემუქრა. ჟურნალისტი რეგიონში საარჩევნო კამპანიის ფარგლებში დეპუტატობის ოპოზიციონერი კანდიდატის ამომრჩევლებთან შეხვედრას აშუქებდა,

4 „დაპირისპირება დმანისში - კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერებს თავს დაესხნენ“, მთავარი არხი, 15.09.2020: <https://www.facebook.com/watch/?v=344554666595530>

5 „კახა ოქრიაშვილის თქმით, დმანისში მის მხარდამჭერებს თავს დაესხნენ“, ნეტგაზეთი, 15.09.2020, <https://netgazeti.ge/news/481980/>

6 „არჩევნები დამთავრდეს და ...- “ოცნების“ დეპუტატი „მთავარის“ ჟურნალისტს ემუქრება“, მთავარი არხი, 16.09.2020, <https://bit.ly/3j0U8Dk>

რასაც, მედიის ინფორმაციით, მმართველი პარტიის აქტივისტები და საჯარო მოხელეებიც აკვირდებოდნენ.

18 სექტემბერს, **თბილისში**, იოსებიძის ქუჩაზე ნილბიანი პირები თავს დაესხნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ აქტივისტს, ლაშა ცუცქერიძეს, რის შედეგადაც მან სხეულის დაზიანება მიიღო.⁷

24 სექტემბერს **თბილისში** ღამით, როცა საარჩევნო შტაბიდან სახლში ბრუნდებოდა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, კუკიის დასახლებაში უცნობმა პირმა ძლიერი ბიძკით მინაზე დააგდო „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი, ნინია ცისკარიშვილი. დაზარალებულის თქმით, თავდასხმელები ორნი იყვნენ და ისინი აშკარად არ მოქმედებდნენ ძარცვის მიზნით - მათ არც ჩანთა წაუღიათ და არც მობილური ტელეფონი, რომელიც ინციდენტის შედეგად დაიმტვრა.⁸

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშიას“ მხარდამჭერების განცხადებით, 27 სექტემბერს **ბოლნისის** რაიონის სოფელ ნახიდურში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გოგი მეშველიანის ძმა, ათეულობით მხარდამჭერთან ერთად შეიჭრა ჩაიხანაში, თავს დაესხა ოპოზიციონერ აქტივისტებს და მათ ფიზიკურად გაუსწორდა. დაპირისპირების შედეგად, რამდენიმე აქტივისტმა მიიღო სხეულის დაზიანება, რის გამოც ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები უარყოფენ ბრალდებებს და, თავის მხრივ, ოპოზიციურ პარტიას პროვოკაციის მოწყობასა და მის მომხრეებზე ფიზიკურ თავდასხმაში ადანაშაულებენ.⁹ ინციდენტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ ბოლნისელი აქტივისტი, არიფ იუსუფოვი, დააკავა, რომელსაც ბრალად ქართული ოცნების წევრის, გოგი მეშველიანის ძმისთვის ბლაგვი საგნით ჯანმრთელობის დაზიანება ედება.¹⁰

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნიკა მელიას განცხადებით, 27 სექტემბერს **თბილისში**, კერძოდ გლდანულაში, ამომრჩეველთან შეხვედრის დროს ახლომდებარე საცხოვრებელი კორპუსიდან ქვები ესროლეს.¹¹

გარდაბანსა და მარნეულში „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის, აჰმედ იმამკულიევის თქმით, 28 სექტემბერს **მარნეულის** მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოში პარტიის ერთ-ერთ აქტივისტს პნევმატური იარაღიდან ესროლეს. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.¹²

29 სექტემბერს, **მარნეულის** საოლქო საარჩევნო კომისიასთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. ინციდენტს იმ დროს ჰქონდა ადგილი, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიის შენობის წინ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ აქციას მართავდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, ძალადობის მუხლით დაიწყო.¹³

7 „„ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტს ლაშა ცუცქერიძეს თავს დაესხნენ“, რადიო თავისუფლება, 18.09.2020, <https://www.radiotavisupleba.ge/a/30846415.html>

8 „ძალადობა არჩევნების წინ“, რადიო თავისუფლება, 25.09.2020, <https://bit.ly/3nY9axo>

9 „ხმაური და დაპირისპირება ბოლნისში: ძალა ერთობაშიას წევრები ქართულ ოცნებას თავდასხმაში ადანაშაულებენ“, on.ge, 27.20.2020, <https://bit.ly/2S5Rdy4>

10 შსს: მარნეულსა და ბოლნისში ენმ-ის 2 და ოცნების 2 აქტივისტი დავაკავეთ“, [formulanews.ge](https://formulanews.ge/News/37608), 4.10.2020, <https://formulanews.ge/News/37608>

11 „ნიკა მელიას განცხადებით, ამომრჩეველთან შეხვედრის დროს ქვები დაუშინეს“, ინტერპრესნიუსი, 27.09.2020, <https://bit.ly/2lyYC7A>

12 „ჩვენს აქტივისტს ტირის თოფიდან ესროლეს - აჰმედ იმამკულიევი“, პუბლიკა, 28.09.2020, <https://bit.ly/2FvLfUn>

13 „მარნეულში საოლქო საარჩევნო კომისიასთან ერთმანეთს ენმ-სა და „ოცნების“ მხარდამჭერები დაუპირისპირდნენ“, პუბლიკა, 29.09.2020, <https://bit.ly/3du55fn>

იმავე დღეს, საღამოს, **მარნეულში** მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. აქციის გამართვის შემდეგ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მხარდამჭერებსა და საოლქო კომისიის წევრს, ლაშა ქველაძეს და მის მამას, გივი ქველაძეს თავს დაესხნენ. „მთავარი არხის“ ჟურნალისტის ინფორმაციით, ლაშა ქველაძე 10-მდე ადამიანმა სცემა, დამტვრეულია მისი კუთვნილი მანქანაც.¹⁴ ქველაძემ დაზიანებები სახის არეში მიიღო. ინციდენტიდან მალევე ცნობილი გახდა, რომ „მთავარი არხის“ და „პირველი არხის“ გადამღებ ჯგუფებსაც თავს დაესხნენ, რასაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორის, ტელეკომპანია „მთავარის“ ჟურნალისტის ჯეიჰუნ მუჰამედალისა და ოპერატორის ლაშა გურეშიძის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა. ამავე დროს, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელები აცხადებდნენ, რომ მათი მხარდამჭერი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ ატივისტებმა სცემეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მარნეულში მომხდარ ინციდენტებზე გამოძიება ორი მუხლით დაიწყო - ძალადობა (სსკ-ის 126-ე მუხლი) და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა (სსკ-ის 154-ე მუხლი).¹⁵ 3 ოქტომბერს პოლიციამ ამ ინციდენტის მონაწილე სამი პირი დააკავა. მათგან ორი „ქართული ოცნების“ წევრია და მარნეულში 29 სექტემბრის ინციდენტის დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ წევრებზე ძალადობის ბრალდებითაა დაკავებული. ერთი მათგანი მარნეულის მერიის ავტოპარკის უფროსი, გიორგი ჯალალონიაა, მეორე - „ქართული ოცნების“ აქტივისტი, გიორგი შუბითიძე. ასევე, დააკავეს დაზარალებული საარჩევნო კომისიის წევრი ლაშა ქველაძე, რომელსაც ბრალად ინციდენტის დროს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერისთვის ბლაგვი საგნის ჩარტყმა დაედო.¹⁶

19 ოქტომბერს **ბოლნისი-მარნეულის გზაზე** ესროლეს მანქანას, რომელშიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ კანდიდატის კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერები ისხდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, გასროლა იარაღიდან მოხდა და ნატყვიარი ავტომანქანას უკანა ნაწილზე აღინიშნება. გასროლამდე მძღოლს ჯერ ავტომობილის გაჩერება მოსთხოვეს, შემდეგ კი მანქანა დააჯახეს. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე და 236-ე მუხლით დაიწყო. 187-ე მუხლი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს, 236-ე კი -ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარებას.¹⁷

30 სექტემბერს **სენაკში** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ საარჩევნო შტაბის უფროსის და საკრებულოს წევრის, მირანდა მირცხულავას, ვაჟმა, გიორგი გოგავამ განაცხადა, რომ სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსანი იარაღის გამოყენებით დაემუქრა. გოგავა ინციდენტს, მისი დედის პოლიტიკურ აქტიურობას უკავშირებს. მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 151-ე და 236-ე მუხლით დაიწყო, რაც მუქარას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.¹⁸

11 ოქტომბერს **თბილისში** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მაჟორიტარობის კანდიდატის, ლევან ხაბეიშვილის შტაბის წევრის, ლევან ქართველიშვილის განცხადებით, მას პარტიული მათარის ტარების გამო ფიზიკური შეურაცხყოფა

14 „აზერ სულეიმანოვის განცხადებით, მარნეულში „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ აქტივისტებს შორის დაპირისპირების შედეგად, “ნაცმოძრაობის” 2 წევრი დაშავდა“. ინტერპრესნიუსი, 29.09.2020, <https://bit.ly/343ApyB>

15 „ხეში შემაყოფინეს თავი და მირტყამდნენ - „მთავარი არხის“ ჟურნალისტი“, პუბლიკა, 29.09.2020, <https://bit.ly/3k78e7m>

16 „შსს: მარნეულსა და ბოლნისში ენმ-ის 2 და ოცნების 2 აქტივისტი დავაკავეთ“, formulanews.ge, 4.10.2020, <https://formulanews.ge/News/37608>

17 „კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერების მანქანას ესროლეს - ენმ“, ნეტგაზეთი, 19.10.2020, <https://netgazeti.ge/news/490446/>

18 „მუქარა “ენმ“-ს წევრის შვილზე - ოჯახი ლევან სალაყაიას დაკავებას ითხოვს“, მთავარი არხი, 1.10.2020, <https://bit.ly/3k3PEge>

მიაყენეს, რის შედეგადაც მან სხეულის დაზიანება მიიღო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.¹⁹

„ევროპული საქართველოს“ წევრის - ოქტაი სკანდარავას განცხადებით, 11 ოქტომბერს **გარდაბნის** მუნიციპალიტეტში, სოფელ ყარაჯარალში მას თავს დაესხნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.²⁰

გავრცელებული ინფორმაციით, 20 ოქტომბერს **ბოლნისის** მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავშანიანში, ბოლნისის 59-ე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მამედ შამილოვმა ჯერ სიტყვიერი, ხოლო შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ამავე სოფლის პედაგოგს, რომელიც კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერია.²¹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კოორდინატორთან საუბარში შამილოვმა უარყო ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი.

29 სექტემბერს სადამკვირვებლო ორგანიზაციის, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ გრძელვადიანი დამკვირვებელი წინასაარჩევნო მონიტორინგის ფარგლებში აკვირდებოდა პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ კანდიდატის შეხვედრას **დედოფლისწყაროს** სოფელ საბათლოში. გავრცელებული ინფორმაციით, პარტიის ავტომობილი გააჩერეს მათთვის უცნობმა პირებმა და ხელს უშლიდნენ თავისუფლად გადაადგილებაში. „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელი შეეცადა, მოვლენები ვიდეო კამერით გადაეღო, რაშიც მერის წარმომადგენლის ძმამ და ადგილობრივი მაღაზიის გამყიდველმა ხელი შეუშალეს, მოსთხოვეს გადაღების ნებართვა და დაემუქრნენ, რომ „სოფლიდან ვერ გავიდოდა“.²²

9 სექტემბერს **ზუგდიდში** პარტია „ლელო საქართველოსთვის“ სამეგრელოს მუნიციპალიტეტების ოლქების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა. ღონისძიება დადიანების სასახლის ეზოში გაიმართა, რომელსაც პარტიის ლიდერები და მათ მხარდამჭერები დაესწრნენ. შეხვედრაზე, „ლელოს“ ლიდერს, მამუკა ხაზარაძეს, რამდენიმე მოქალაქე დაუპირისპირდა და ის ეროვნული მოძრაობის დევნაში დაადანაშაულეს, ისინი ასევე პრეტენზიებს გამოთქვამდნენ „თიბისი ბანკის“ საქმიანობასთან დაკავშირებით.²³ როგორც მოგვიანებით გამოვლინდა, კონტრაქციის მონაწილეები საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები იყვნენ, მათ შორის მადონა მაქაცარია - ა(ა)იპ „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის“ დირექტორი, როლანდ მაქაცარია - მუნიციპალური ა(ა)იპ-ის თანამშრომელი და, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები.²⁴ ფაქტზე ზუგდიდის პოლიციის რაიონულ სამმართველოში დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

13 სექტემბერს, პარტიამ „ლელო საქართველოსთვის“ სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი ლაშა გვასალია, მუქარასა და შევიწროებაში დაადანაშაულა. პარტიაში ყვებიან, რომ გვასალია, „ლელო საქართველოს“ ქალ წევრებს შეურაცხყოფას აყენებს და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებით ემუქრება. ლელოს ბრალდებებს ლაშა გვასალია უარყოფს და ამბობს, რომ „ლელოს“ წევრებმა ხუმრობა შეურაცხყოფად აღიქვეს.²⁵

19 „ხაბეიშვილის შტაბის წევრის თქმით, მას პოლიტიკური ნიშნით გაუსწორდნენ“, ნეტგაზეთი, 12.10.2020, <https://bit.ly/2SYtwrl>

20 „ენმ-სა და „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო შტაბის წევრების ცემაზე შსს-მ გამოძიება დაიწყო“, პუბლიკა, 12.10.2020, <https://bit.ly/358Epgi>

21 „კიდევ ერთი თავდასხმა კახა ოქრიაშვილის შტაბის წევრზე - რა ხდება ბოლნისში“, მთავარი არხის ფეისბუქ-გვერდი, 20.10.2020, <https://www.facebook.com/TvMtavari/posts/447608329942616>

22 „„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს საქმიანობაში ხელი შეუშალეს“, isfed.ge, 30.09.2020, <https://bit.ly/3IT1x4>

23 „ზუგდიდში „ლელოს“ მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენისას მცირე ინციდენტი მოხდა“, რადიო ათინათი, 9.09.2020, <https://bit.ly/2H34CEO>

24 „„ლელო“: წარმოგიდგინთ ა(ა)იპ-ების იმ თანამშრომლებს, რომლებმაც ზუგდიდში ჩვენი შეხვედრის ჩაშლა სცადეს“, რადიო ათინათი, 10.09.2020, <https://bit.ly/2SXNBi4>

25 „„ეს საქალაქო საცოდავები არიან“ - „ოცნების“ მაღალჩინოსანი „ლელოზე“ და მუქარა პირადი კადრებით“, მთავარი არხი, 13.09.2020, <https://bit.ly/3o2oCbz>

რამდენიმე დღით ადრე, 6 სექტემბერს, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით შანტაჟზე განცხადება „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმაც გააკეთა. გიორგი ვაშაძემ 6 სექტემბერს საჯაროდ განაცხადა, რომ მისი პარტიის წევრს დაემუქრნენ. შედეგად ვაშაძე გამოკითხვაზე დაიბარეს, თუმცა ვაშაძემ გამოკითხვა მაგისტრი მოსამართლის თანდასწრებით მოითხოვა.²⁶

12 ოქტომბერს, **ნალენჯიხაში**, ადგილობრივი მედიის, „კვარინიუსის“, ჟურნალისტმა, დიმიტრი კვარაცხელიამ, რომელიც ასევე პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ ნალენჯიხის, ჩხორონყუს, აბაშის და მარტვილის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, თამარ ბელქანიას პრესამსახურის უფროსია, განაცხადა, რომ მას „ქართული ოცნების“ შტაბის თანამშრომელი, გულბათ ქარდავა დაუკავშირდა და ცემით დაემუქრა.²⁷

16 ოქტომბერს **თბილისში** ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელმა, ნინო გედენიძემ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ მასთან სახლში „ქართული ოცნების“ აგიტატორი მივიდა, რომელიც მასზე ზეწოლას ახდენდა და მიანიშნებდა, რომ ის საჯარო სამსახურში მუშაობდა.²⁸

გორისა და კასპის საარჩევნო ოლქში „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ლევან თარხნიშვილის განცხადებით, 16 ოქტომბერს სოფელ **მეჯვრისხევში** მას და მისი შტაბის წევრებს თავს დაესხნენ. გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელები „ქართული ოცნების“ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი აქტივისტები იყვნენ.²⁹ მათ ჯერ თარხნიშვილის და ევროპული საქართველოს საარჩევნო პოსტერებს „ქართული ოცნების“ პოსტერები გადააკრეს, შემდეგ კი პარტიის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა პროვოკაციაში თავად „ევროპულ საქართველო“ დაადანაშაულა და სამართალდამცველებს მომხდარი ფაქტის დროულად გამოძიებისკენ მოუწოდა.³⁰

18 ოქტომბერს **თბილისში** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, ხატია დეკანოიძემ მის საარჩევნო შტაბში უკანონოდ შეჭრის შესახებ საკუთარ Facebook გვერდზე დაწერა.³¹ დეკანოიძემ შუალაშისას ოფისში შეჭრაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დაადანაშაულა და სავარაუდო მიზეზად შტაბში მოსასმენი აპარატურის დაყენება დაასახელა.

მის წინააღმდეგ განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობდა ნინოშინდა-ახალქალაქის საარჩევნო ოლქის მოქმედი მაჟორიტარი „ქართული ოცნებიდან“ **ენზელ მკოიანი**. 2020 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის მკოიანი „ქართულმა ოცნებამ“ კანდიდატად აღარ დაასახელა და იგი დამოუკიდებელ კანდიდატად დარეგისტრირდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წარმომადგენელთან საუბარში მკოიანმა განაცხადა, რომ მასზე მიმდინარე წლის ივლისიდან ხორციელდება ზეწოლა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან, კერძოდ, მას თხოვდნენ, რომ არ დაეყენებინა არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა. მისივე თქმით, ივლისში იგი ორჯერ დაიბარეს ახალქალაქის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სადაც სუს-ის რეგიონალური ხელმძღვანელი, სოსო მესხი და მისი მოადგილე, ტარას შევჩენკო, შეხვდნენ და მას პოლიტიკიდან წასვლას სთხოვდნენ. 21 აგვისტოს აფეთქდა მისი ძმის მანქანა, რომელსაც მკოიანი, ასევე, ამ პროცესს უკავშირებს. მკოიანი, ასევე, დაშინების მცდელობად მიიჩნევდა მისი ძმის კომპანიაში („ეს ჯი გაზ კომპანი“) ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესვლას.

26 „ჩვენ თანაგუნდელს პირადი ცხოვრების კადრებით აშანტაჟებენ - გიორგი ვაშაძე“, მთავარი არხი, 6.09.2020, <https://mtavari.tv/news/15034-chven-tanagundels-piradi-tskhovrebis-kadrebit>

27 „„ლელო“ - სამეგრელოს ერთ-ერთი ოლქის წევრს „ზონდერი“ გულბათ ქარდავა დაემუქრა“, ინტერპრესნიუსი, 12.10.2020, <https://bit.ly/3nYWhTp>

28 „„სამუშაოზე მიმანიშნა“ — ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლის თქმით, “ოცნების” აგიტატორი მასზე ზეწოლას ახდენდა“, on.ge, 16.10.2020, <https://bit.ly/3ITBQFP>

29 „ლევან თარხნიშვილსა და მისი შტაბის წევრებს რამდენიმე ადამიანი თავს დაესხა“, formulanews.ge, 16.10.2020, <https://formulanews.ge/News/38135>

30 გორის მუნიციპალიტეტში ინციდენტი მოხდა, რაშიც „ევროპული საქართველოსა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ერთმანეთს ადანაშაულებენ“, პირველი არხი, 16.10.2020, <https://bit.ly/35aU4Mn>

31 „დეკანოიძე: ჩვენს შტაბსა და ჩემს სამუშაო ოთახში სუს-ი აპარატურის დასაყენებლად შევიდა“, ტაბულა, 18.10.2020, <https://bit.ly/37pThKh>

1.2 აჩვენების დღეს მომხდარი შემთხვევები

31 ოქტომბერს **გლდანში** #39 საჯარო სკოლასთან, სადაც 3 საარჩევნო უბანი იყო განლაგებული, სხვადასხვა პარტიის აქტივისტებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.³² ტერიტორიაზე ამ დროს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წარმომადგენელი იმყოფებოდა, რომელიც მოვლენების განვითარებას ადგილზე აკვირდებოდა. დაპირისპირების შედეგად დაზიანდა „ტვ პირველის“ ჟურნალისტი ანა ახალაია. ასევე, ონლაინ მედია „პუბლიკას“ ჟურნალისტს მინდია გაბაძეს, რომელიც ადგილზე შექმნილ სიტუაციას მობილურით იღებდა, ფეხი ჩაარტყეს, ხელიდან მობილური გააგდებინეს და დაუზიანეს. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლასთან დღის განმავლობაში ფიზიკური დაპირისპირების რამდენიმე ეპიზოდი მოხდა და პოლიციამ ადმინისტრაციული წესით 6 პირი დააკავა.³³

31 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების პარალელურად, **ქუთაისის** მერის რიგგარეშე არჩევნებიც იმართებოდა. „ლეიბორისტული პარტიის“ მერობის კანდიდატმა ირაკლი კიკვაძემ განაცხადა, რომ იგი #37 უბნის გარეთ სცემეს. თვითმხილველის ინფორმაციით კიკვაძეს 15-მდე ადამიანი ფიზიკურად დაუპირისპირდა.³⁴ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო, რაც კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობას ან ძალადობის მუქარას გულისხმობს. დაწყებულ გამოძიებას არ ენდობოდა თავად ირაკლი კიკვაძე და აცხადებდა: „მე და ჩემი თანხმლები პირი დაგვკითხეს, სხვა მხარე არც დაუკითხავთ, ამის მერე მე, რა თქმა უნდა, არ ვენდობი გამოძიებას. მეტიც იმ დღეს, პოლიციაც ერთგვარი თანამონაწილე იყო, მცემდნენ და ვინც მცემდა ის განარიდეს, მერე მეკითხებოდნენ ვინ გცემო“.

ფიზიკური დაპირისპირების ფაქტს ჰქონდა ადგილი, ასევე, **მარნეულის** მუნიციპალიტეტის სოფელ დაშტაფის #52 და სოფელ ყიზილაჯლოს #89 საარჩევნო უბნებზე.³⁵ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

გავრცელებული ინფორმაციით, ფიზიკური დაპირისპირება მოხდა **ზუგდიდის** #80 საარჩევნო უბანთან. ადგილზე იმყოფებოდნენ როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ისე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. როგორც გაირკვა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს აგიტაციაში ადანაშაულებდნენ, რამაც კონფლიქტი გამოიწვია.³⁶

რუსთავის #16 უბანთან „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დამკვირვებელს ხუთამდე პირმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმეზე გამოძიება დაიწყო და დამკვირვებელი პოლიციამ გამოკითხა.

1.3 აჩვენების დღის შემდეგ მომხდარი შემთხვევები

არჩევნების მეორე დღეს, პირველ ნომბერს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მაჟორიტარობის კანდიდატის - კახა ოქრიაშვილის ბიძაშვილი, მერაბ ოქრიაშვილი **დმანისში** დაჭრეს. მერაბ ოქრიაშვილი გაერთიანებული ოპოზიციის დმანისის შტაბის ხელმძღვანელი და დმანისის საკრებულოს თავმჯდომარეა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მედიაში განცხადება გააკეთა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა,

32 „გლდანში ფიზიკური დაპირისპირება გრძელდება“, ფორმულა, 31.10.2020: <https://bit.ly/3n1qEaU>

33 შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 31.10.2020: <https://bit.ly/3mOei5X>

34 „ქუთაისის საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მერობის კანდიდატს სცემეს“, ქუთაისი პოსტი, 31.10.2020: <https://bit.ly/3qxzMq7>

35 „გამოვლინდა ფიზიკური ანგარიშსწორების, ამომრჩეველთა ნების კონტროლისა თუ კენჭისყრის ფარულობის დარღვევის ფაქტები“, რადიო თავისუფლება, 31.10.2020: <https://bit.ly/3otzDSS>

36 შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 31.10.2020: <https://bit.ly/2L2loVl>

დომიტრი შაშკინმა. შაშკინის თქმით,³⁷ მომხდარი პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდება, რასაც ასევე ადასტურებს კახა ოქრიაშვილიც.³⁸ საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის ორი – 236-ე და 118-ე მუხლებით დაიწყო, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებას და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.³⁹

2. პოლიტიკური კანდიდატის ქონებისა და სააღიზაზრო მასალის განადგურება და მათზე საგანგებოდაცვითი ორგანოების ჩაბრუნება

თბილისში აფრიკის დასახლებაში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ სამგორის მაჟორიტარობის კანდიდატის, ლევან ხაბეიშვილის შტაბს თავს დაესხნენ. ხაბეიშვილის თქმით, შემთხვევა 17 სექტემბერს გვიან ღამით მოხდა და, სავარაუდოდ, ორმა პირმა შტაბს აგურები ესროლა, რის გამოც ჩამსხვრა მინები.⁴⁰

23 სექტემბერს **ბოლნისში** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მაჟორიტარობის კანდიდატის, კახა ოქრიაშვილის საარჩევნო შტაბს თავს დაესხნენ, დააზიანეს სათვალთვალო ვიდეო კამერები, კედლებზე დაწერეს შეურაცხმყოფელი სიტყვები.⁴¹

27 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ **აჭარის** ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ მათი საარჩევნო ბანერები უცნობმა პირებმა დააზიანეს. ბანერები სამ სოფელში – ჭარნალში, დოლოგანსა და ახალსოფელში ჩამოხიეს.⁴²

ქუთაისში „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ოთარ კახიძის ცნობით, 12 ოქტომბერს მისი პარტიის ოფისს აგურები დაუშინეს.⁴³

13 ოქტომბერს, ღამით **ბოლნისში** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კახა ოქრიაშვილის საარჩევნო შტაბის ოფისი გატეხეს. შტაბიდან წაიღეს კომპიუტერული ტექნიკა. გამოძიება დაიწყო ქურდობის მუხლით.⁴⁴

16 ნოემბერს მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ გლდანის ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნიკა მელიას **გლდანის** საარჩევნო ოფისი დაწვეს.⁴⁵ თავად შენობის მესაკუთრის განცხადებით⁴⁶ ხანძარი დილის 6 საათზე გაჩნდა. ის ამ ფაქტს პოლიტიკურ პროცესებს უკავშირებს. თვითმხილველების ინფორმაციით, სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილიდან ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილები“ გამოიტანეს. საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

37 „დმანისში კახა ოქრიაშვილის ბიძაშვილი დაჭრეს, ის თბილისში გადმოჰყავთ: შაშკინი“, ნეტგაზეთი, 01.11.2020: <https://bit.ly/3ozQkMx>

38 „კახა ოქრიაშვილის ბიძაშვილის დაჭრის საქმეზე შსს-მ გამოძიება დაიწყო“, პუბლიკა, 01.11.2020: <https://bit.ly/2ImQgAc>

39 იქვე

40 „ლევან ხაბეიშვილის შტაბს თავს დაესხნენ“, ნეტგაზეთი, 18.09.2020, <https://netgazeti.ge/news/482614/>

41 „ბოლნისში გაერთიანებული ოპოზიციის შტაბს თავს დაესხნენ“, მთავარი არხი, 23.09.2020, <https://bit.ly/2H7zsfC>

42 „ენმ-ის მაჟორიტარობის კანდიდატების საარჩევნო ბანერები ჩამოხიეს“, ბათუმელები, 27.09.2020, <https://bit.ly/2T2M3DA>

43 „ქუთაისში ევროპული საქართველოს ოფისს აგურები დაუშინეს“, ტაბულა, 13.10.2020, <https://bit.ly/357nc70>

44 „ბოლნისში ოქრიაშვილის შტაბი დაარბიეს, წაღებულია ტექნიკა – ენმ“, ნეტგაზეთი, 14.10.2020, <https://netgazeti.ge/news/489485/>

45 „გლდანში ნიკა მელიას ოფისს თავს დაესხნენ და დაწვეს“, ფორმულა, 16.11.2020: <https://bit.ly/3otXMbT>

46 „გლდანში ნიკა მელიას საარჩევნო ოფისი დაწვეს“, რუსთავი 2, 16.11.2020: <https://bit.ly/36OaZ9x>

რეკომენდაციები

- წინასაარჩევნო პერიოდში საგამოძიებო ორგანოებმა მაქსიმალურად სწრაფად და მიუკერძოებლად უნდა გამოძიონ არჩევნებში ჩართული მხარეების წინააღმდეგ მიმართული სავარაუდო ძალადობის, ზენოლის და სხვა დანაშაულის ნიშნების შემცველი საქმეები;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო პროაქტიულად და ოპერატიულად უნდა აქვეყნებდეს ინფორმაციას, არჩევნებთან დაკავშირებულ საქმეებზე გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

3. ხსკოსთან უპროპორციული დამინარეობის წინააღმდეგ წყლის ჭავლის გამოყენება

8 ნოემბერს პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია გაიმართა,⁴⁷ სადაც ოპოზიციური პარტიის ლიდერებმა 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს გაყალბების საფუძველით უნდობლობა გამოუცხადეს. აქციამ მოგვიანებით ცესკოს შენობასთან გადაინაცვლა. აქციის მონაწილეები ცესკოს თავმჯდომარის თამარ ჟვანიას გადადგომას, ხელახალი არჩევნების დანიშვნას და „პოლიტპატიმრების“ გათავისუფლებას ითხოვდნენ.

ცესკოსთან მიმდინარე აქციაზე, სადაც ადამიანების მცირე რაოდენობა იდგა, სამართალდამცველებმა თავდაპირველად წყლის ჭავლი სათანადო საფუძვლისა და გაფრთხილების გარეშე გამოიყენეს.⁴⁸ მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ გამოყენებულ იქნა ცრემლსადენი გაზიც, თუმცა ეს ინფორმაცია შსს-მ უარყო.⁴⁹ პოლიციამ ხალხის გაფრთხილება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც აღნიშნულ ფაქტს საზოგადოებაში უარყოფითი შეფასება მოჰყვა.

კანონმდებლობის მიხედვით, პოლიციას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია იძულების პროპორციული ღონისძიებების გამოყენება და ისიც იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.

ფიზიკური ძალის ან სპეციალური საშუალებების გამოყენების წინ პოლიცია ვალდებულია გააფრთხილოს პირები დამათმისცეს გონივრული ვადამისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად. თავის მხრივ, ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის გამოყენება დასაშვებია წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, პოლიციელებზე ან სახელმწიფო ობიექტებზე მასობრივი და ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, პოლიციის ქმედებები, შეკრებისა და მანიფესტაციის კონსტიტუციური უფლების უხეშ დარღვევად შეიძლება შეფასდეს.

ცესკოს შენობასთან განვითარებული საპროტესტო აქციის დროს ადგილი ჰქონდა ასევე მედიის წარმომადგენლებისათვის პროფესიული საქმიანობის უკანონოდ ხელის შეშლის, ფიზიკური დაზიანების მიყენების და მათი კუთვნილი ტექნიკის დაზიანების ფაქტებს.⁵⁰

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მომხდარი იმავე ღამეს შეაფასა⁵¹ და სახელმწიფოს მოუწოდა მოქალაქეებისათვის მიეცა შესაძლებლობა, პროტესტი მშვიდ და თავისუფალ გარემოში გამოეხატათ.

47 „პოლიციამ საპროტესტო აქციის მონაწილეების წინააღმდეგ წყლის ჭავლი გამოიყენა, 19 პირი დააკავა“, civil.ge, 09.11.2020: <https://bit.ly/3IPNPUv>

48 „პოლიციამ წყლის ჭავლი გამოიყენა ცესკოს შენობის წინ აქციის მონაწილეების წინააღმდეგ“, რადიო თავისუფლება, 08.11.2020: <https://bit.ly/3qGqwjJ>

49 „შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის- კახაბერ საბანაძის ბრიფინგი“, 08.11.2020: <https://bit.ly/3IRZaTQ>

50 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განცხადება, 10.11.2020: <https://bit.ly/3a0atY7>

51 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განცხადება, 08.11.2020 წლის 8 ნოემბერი: <https://bit.ly/39Mpnko>

4. სავაჩაულო პოლიტიკური ნიშნით სამსახურიან გათავისუფლება

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 1 ივლისიდან 4 სექტემბერის ჩათვლით მერიისა და სხვადასხვა ა(ა)იპ⁵²-ის 22-მა თანამშრომელმა სამსახური დატოვა. მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატის - ენზელ მკოიანის თქმით, გათავისუფლებულების დიდი ნაწილი მისი მხარდამჭერი იყო და ამის გამო ისინი აიძულეს, თანამდებობა დაეტოვებინათ. 22 გათავისუფლებულიდან 6 მერიის თანამშრომელი იყო,⁵³ ორი — მუნიციპალური ა(ა)იპ-ის დირექტორი.⁵⁴ ნინოწმინდის მერიის ცნობით, მათ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვეს თანამდებობა. დანარჩენი 14 გათავისუფლებული პირი ტერიტორიულ ერთეულში მერის წარმომადგენლები (ე.წ. „სოფლის რწმუნებულები“) იყვნენ, რომლებსაც ხელშეკრულების ვადა გაუვიდათ და აღარ გაუგრძელდათ. ეს შემთხვევა განიხილა „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ“, სადაც მუნიციპალიტეტმა განმარტა, რომ „რამდენიმე ასაკოვანმა თანამშრომელმა პირადი ინიციატივით დაწერა განცხადება სამსახურიდან წასვლასთან დაკავშირებით, რამდენიმეს კი გაუვიდა ხელშეკრულების ვადა. კერძოდ, საკითხი შეეხება 70 წელს გადაცილებულ 6 მოხელეს, რომლებმაც საკუთარი ინიციატივით განცხადებით მიმართეს მერს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. დანარჩენ 12 თანამშრომელთან დადებული იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულება და მერის გადაწყვეტილებით ვადის ამოწურვის შემდეგ მათ ვადა აღარ გაუგრძელდათ (ეს არის მისი კანონიერი უფლებამოსილება).“ თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წარმომადგენელს რამდენიმე გათავისუფლებულმა პირმა განუცხადა, რომ, ისინი აიძულეს, განცხადება დაეწერათ, ვინაიდან ენზელ მკოიანის მხარდამჭერები იყვნენ.

7 სექტემბერს **ყვარლის** მუნიციპალიტეტის მერმა, როსტომ სესიაშვილმა, ა(ა)იპ „ყვარლის სამუსიკო სკოლების გაერთიანების“ დირექტორი, თამარ გიგიაშვილი, სამსახურიდან გაათავისუფლა. მისი მეუღლე, თორნიკე მოლაშვილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გიორგი ბოტკოველის მხარდამჭერია. მეუღლის სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზად, მოლაშვილი სწორედ ამ მხარდაჭერასა და საკუთარ საცხოვრებელ სახლზე ბოტკოველის ბანერის განთავსებას მიიჩნევს. მერის, როსტომ სესიაშვილის განცხადებით, მას აქვს უფლებამოსილება სამსახურიდან გაათავისუფლოს ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი, რაც ამ შემთხვევაში მან საჭიროდ მიიჩნია და პოლიტიკური დევნა არ განუხორციელებია.⁵⁵

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლის დირექტორს, დოდო ჭოტორლიშვილს თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს, როგორც დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს. ის ამბობს, რომ სხვა დირექტორებს, ვინც ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის სასარგებლოდ მიკერძოებულია, გაუგრძელეს ხელშეკრულება, ხოლო ის მათ სიაში ვერ მოხვდა. ყოფილი დირექტორი ამბობს, რომ ოჯახის წევრების პოლიტიკური სიმპათიების გამო ისჯება. დოდო ჭოტორლიშვილის თქმით, მისი

52 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

53 გათავისუფლებული თანამშრომლები: 1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახურის უფროსი, მუშაობდა 2014 წლიდან; 2. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი, მუშაობდა 2010 წლიდან; 3. მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის საკითხებში, მუშაობდა 2016 წლიდან; 4. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, მუშაობდა 2007 წლიდან; 5. მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხებში მუშაობდა 2016 წლიდან;

6. მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – ზედამხედველობის და რეაგირების საკითხებში, მუშაობდა 2016 წლიდან.

54 ა(ა)იპ „სპორტული სკოლის“ დირექტორი და ა(ა)იპ „კომუნალური კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის“ დირექტორი.

55 „ყვარლის მერმა ოპოზიციის მხარდამჭერი სამსახურიდან გაათავისუფლა“, რადიო ჰერეთი, 12.09.2020, <https://bit.ly/31mokCD>

შვილი არც ერთ პარტიაში არ არის, თუმცა მხარს უჭერს და ეხმარება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს - კახა ოქრიაშვილსა და ცეზარ ჩოჩელს.⁵⁶

ასევე, პოლიტიკური ნიშნით თანამდებობიდან გათავისუფლებაზე საუბრობდა წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, რამინ ჩიტაშვილი. მიზეზად ისიც ცეზარ ჩოჩელთან ახლობლობას და მის მხარდაჭერას ასახელებს. მისივე თქმით, ცეზარ ჩოჩელი მისი მამიდაშვილია. დოლო ჭოტორლიშვილის მსგავსად, მასაც უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს. ჩიტაშვილი აცხადებს, რომ ყოველი არჩევნების წინ სთხოვდნენ, გაეკეთებინა სიები მმართველი პარტიის მომხრეების და მონინააღმდეგეების, რაზეც ის უარს აცხადებდა.⁵⁷

5. არჩევნების დღეს და მის შემდეგ შედგენილი საჩივრების განხილვა

ცალკე აღნიშვნის ღირსია არჩევნების დღეს და მას შემდეგ მიმდინარე მოვლენები, გამოვლენილი დარღვევები და სამართლებრივი დაავადების პროცესი. არჩევნების მეორე დღიდანვე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხრიდან დაიწყო საუბარი არჩევნების შედეგების გაყალბების შესახებ. ასეთ ბრალდებებს ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ შედეგების შემაჯამებელ ოქმებში არსებული დისბალანსის ბევრი შემთხვევის არსებობამ შეუწყო ხელი. ეჭვები კიდევ უფრო გაღრმავდა ამ ფაქტებზე ზემდგომი საარჩევნო კომისიების (საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიები) და სასამართლოების მხრიდან საჩივრებისა და სარჩელების არაეფექტიანმა და ხშირ შემთხვევაში არაადეკვატურმა გადაწყვეტილებებმა. საბოლოო ჯამში, სხვადასხვა სუბიექტის მიერ წარდგენილი საჩივრებისა და სარჩელების აბსოლუტური უმრავლესობა ან განუხილველი დარჩა და არ იქნა დაკმაყოფილებული.

განსაკუთრებით პრობლემური იყო საოლქო საარჩევნო კომისიებისა და ცესკოს უარი საარჩევნო უბნების ბიულეტენების ხელახლა გადათვლის ლეგიტიმურ მოთხოვნებზე. ცესკოს ინფორმაციის, 31 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი იყო სულ 633 საჩივარი. სამართლებრივად სწორად იყო წარდგენილი (გასაჩივრების ვადისა და წესის დაცვით) 492 (77.73%) საჩივარი, მათ შორის დაკმაყოფილდა/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 178 (36.18%) და არ დაკმაყოფილდა 311 (63.21%), რეაგირებისთვის შესაბამის უწყებაში გადაიგზავნა 1 (0.20%), 2 (0.41%) კი წარმდგენმა ორგანიზაციამ გაითხოვა. სამართლებრივად არასწორად წარდგენილი (გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევით) საჩივრების რაოდენობამ 141 (22.27%) შეადგინა.⁵⁸

რაც შეეხება საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილ საჩივრებს - კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში საარჩევნო სუბიექტების მიერ სულ 1459 საჩივარი შევიდა. სამართლებრივად სწორად იყო წარდგენილი (გასაჩივრების ვადისა და წესის დაცვით) 484 (33.17%) საჩივარი, მათ შორის დაკმაყოფილდა/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 94 (19.42%) და არ დაკმაყოფილდა 387 (79.96%), რეაგირებისთვის შესაბამის უწყებაში გადაიგზავნა 1 (0.21%), 2 (0.41%) კი წარმდგენმა ორგანიზაციამ გაითხოვა. სამართლებრივად არასწორად წარდგენილი (გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევით) საჩივრების რაოდენობამ კი 975 (66.83%) შეადგინა.⁵⁹

მსგავსი სიტუაცია იყო სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციაშიც. მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სასამართლოებში 41 უბნის შემაჯამებელი ოქმების ბათილობა და ხმების ხელახლა გადათვლა მოითხოვა. სასამართლოებმა მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს 39 უბნის შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლოში კი ჩვენი ორგანიზაციის მიერ სულ 22 საჩივარი

56 „ვისკები ოჯახის წევრების პოლიტიკური სიმპათიის გამო | რას ჰყვება ყოფილი დირექტორი“, პუბლიკა, 13.10.2020, <https://bit.ly/356W8Vp>

57 „თამარ ჩიხლაძის „დღის ამბები“ - რამინ ჩიტაშვილი“, ტვ პირველის ფეისბუკ გვერდი, 13.10.2020, <https://bit.ly/3o8cRRd>

58 საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრების ზოგადი სტატისტიკა, ცესკო, 20.11.2020: <https://cesko.ge/geo/list/show/123394-saolqo-saarchevno-komisiebshi-tsardgenili-sachivrebis-zogadi-statistika>

59 იქვე

შევიდა, თუმცა არცერთი არ დაკმაყოფილდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ არჩევნების დღეს გამოვლენილი დარღვევებისა და მათი გასაჩივრების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მომდევნო ქვეთავში.

5.1. აჩივების დღეს გამოვლენილი დარღვევები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დღეს სულ 170-მდე დარღვევა დააფიქსირა და მათგან 46-ზე საჩივარი მოამზადა. საჩივრები პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა, რომელთაგან მხოლოდ 5 მათგანი დაკმაყოფილდა.

ერთ-ერთი საჩივარი წყალტუბოს #58 საოლქო საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა,⁶⁰ რომელსაც ერთ-ერთ უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგების გაუქმებას ვთხოვდით სიაში ზოგიერთი ამომრჩევლის მონაცემის არასრულად მითითების გამო. დანარჩენ ოთხ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს სხვადასხვა დარღვევის გამო დისციპლინური სახდელი დაეკისრათ.

5.2. საჩივრები, რომლებიც ოქში დაფიქსირებულ დისბალანსს ეხებოდა

არჩევნების მეორე დღესვე, პირველ ნომბერს, გამოიკვეთა,⁶¹ რომ შემაჯამებელ ოქმებში დისბალანსის არსებობას ტენდენციის სახე ჰქონდა. შესაბამისად, 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის ოქმების ბალანსი გადაამოწმა და საჩივრები მოამზადა.

ორგანიზაციის თანამშრომლებმა პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების სულ 2500 - მდე შემაჯამებელი ოქმი გადაამოწმეს. აქედან თბილისის მასშტაბით ყველა უბნის შემაჯამებელი ოქმი შემოწმდა, ხოლო დანარჩენი რეგიონების შემთხვევაში - ყოველი მეორე.

საჩივრების მომზადების მეთოდოლოგია შემდეგნაირი იყო. იმ შემთხვევაში, თუ ბათილი და ნამდვილი ბიულეტენების ჯამი თუნდაც ერთით მეტი აღმოჩნდებოდა არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლებზე, ეს საჩივრის დანერის საფუძველი იყო. ხოლო თუკი ნაკლები აღმოჩნდებოდა, ამ შემთხვევაში 20 ან მეტი ბიულეტენით ნაკლებობის შემთხვევაში მზადდებოდა საჩივარი. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე სულ 61 საჩივარი მომზადდა და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს წარედგინათ.

საჩივრები მომზადდა იმის მიუხედავად, შემაჯამებელ ოქმს ახლდა თუ არა შესწორების ოქმი. მიუხედავად იმისა, რომ შესწორების ოქმით ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობას კანონი არჩევნების მეორე დღესაც უშვებს, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წარმართული ეს პროცესი ვერ აკმაყოფილებდა გამჭვირვალობის მცირე სტანდარტსაც კი. სადამკვირვებლო ორგანიზაციებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მსგავსი ოქმების შედგენის თაობაზე, შესაბამისად, ვერ მოხერხდა ამ პროცესის დაკვირვება. ხოლო ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში, სადაც ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელი გამოცხადდა, შესწორების ოქმების შედგენის პროცესს იგი არ დაასწრეს.

5.2.1. საჩივრების განხილვა საოლქო საარჩევნო კომისიაში

საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების განხილვის პროცესი ძირითადად ხმაურისა და დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობდა. კომისიის წევრები, წინაწლებთან შედარებით, განსაკუთრებული აგრესიით და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ დამკვირვებლების მიმართ. გარკვეულ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენდა კომისიების წევრთა კვალიფიკაცია.

საბოლოოდ, საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი 61 საჩივრიდან შედეგები ხელახლა მხოლოდ 2 უბანზე გადაითვალა, 40 უბნის გახსნაზე და გადათვლაზე გვეთქვა უარი, ხოლო ჩვენი 19 საჩივარი დარჩა განუხილველი.

60 #58 წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიის N76/2020 განკარგულება, 02.11.2020: <https://bit.ly/2LeKstB>

61 „პრობლემურ საარჩევნო უბნებზე ბიულეტენების თავიდან დათვლა შედეგებისადმი უნდობლობას და პოლიტიკურ დაძაბულობას შეამცირებს“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, 01.11.2020: <https://bit.ly/33QmT0x>

უბნები, სადაც შედეგები ხელახლა გადაითვალა

საბურთალოს ოლქი

საინტერესო იყო თბილისში, საბურთალოს ოლქში #03.03.52 უბნის შედეგების ხელახლა გადათვლის ფაქტი. გამომდინარე იქედან, რომ შემაჯამებელი ოქმის მიხედვით ბათილი ბიულეტენების და ნამდვილი ბიულეტენების ჯამი 92-ით ნაკლები იყო მოსულ ამომრჩევლებზე, უბნის შემაჯამებელი ოქმი გავასაჩივრეთ, მოვითხოვეთ ბათილობა და შედეგების ხელახლა გადათვლა. საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიამ ჩვენი საჩივარი „უსაფუძვლობის გამო“ არ დააკმაყოფილა.⁶² თუმცა ზუსტად იმავე საფუძვლით, იმავე სხდომაზე თავისი ინიციატივით გახსნა⁶³ უბანი და გადათვალა. გადათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ:

- „გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებლის“ მიღებული ხმების გრაფაში ეწერა რიცხვი 3, ხოლო გადათვლის შედეგად აღმოჩნდა 33 ბიულეტენი;
- „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეების“ გრაფაში ეწერა 2, გადათვლის შედეგად აღმოჩნდა 42 ბიულეტენი;
- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გრაფაში ეწერა 1, გადათვლის შედეგად აღმოჩნდა 21 ბიულეტენი.

ოქმი შეცვლილი ვითარების შესაბამისად შესწორდა. მიუხედავად იმისა, რომ იმავე ოლქის კიდევ 7 უბანს ზუსტად იმავე საფუძვლით ვასაჩივრებდით, დანარჩენი უბნები არ გაიხსნა და არ გადაითვალა, რაც უცნაური იყო.

დიდუბე

დიდუბის #06.07.25⁶⁴ უბანზე აღმოჩნდა, რომ საარჩევნო ურნაში 19-ით ნაკლები ბიულეტენი იყო, ისინი დაკარგულად ჩაითვალა და საოლქო კომისიამ შემაჯამებელი ოქმი შეასწორა.

ბათუმი

ბათუმის #28.79.19⁶⁵ უბანზე შედგენილ შემაჯამებელ ოქმში ფაქტობრივად ყველა სუბიექტის მონაცემი არასწორად იყო შევსებული. თავიდან გადათვლის შედეგად მონაცემები გასწორდა.

განუხილველად დარჩენილი საჩივრები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ საჩივრები მთელი საქართველოს მასშტაბით ერთი და იმავე სტანდარტით წარადგინა. საოლქო საარჩევნო კომისიების უმრავლესობამ მიიჩნია, რომ საჩივრები იყო კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით წარდგენილი და საჩივრები განიხილა. ხოლო მათმა ნაწილმა (8 კომისიამ), მიიჩნია, რომ საჩივრები არ იყო უფლებამოსილი პირის მიერ შეტანილი და ამ საფუძვლით განუხილველად დატოვა.⁶⁶ ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებს, რომლებმაც ორგანიზაციის მიერ გაცემული მინდობილობის არსებობა ჩათვალეს აუცილებლად, სხდომაზე ასეთი მინდობილობები წარედგინათ, თუმცა ამის მიუხედავად, საჩივრები დატოვეს განუხილველი. საოლქო საარჩევნო კომისიების ეს ქმედება კანონსაწინააღმდეგო და არათანმიმდევრული იყო.

62 #3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის N 94/2020 განკარგულება, 04.11.2020: <https://bit.ly/37J2ziX>

63 #3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის N 95/2020 განკარგულება, 04.11.2020: <https://bit.ly/37V7E83>

64 #06.07.25 უბნის შემაჯამებელი ოქმი: <https://bit.ly/3mVdJHS>

65 #28.79.19 უბნის შემაჯამებელი ოქმი: <https://bit.ly/36NtHhg>

66 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ განცხადება, 01.11.2020: <https://bit.ly/36Q1g2y>

საჩივრები, რომლებიც არ დაკმაყოფილდა

საოლქო საარჩევნო კომისიებმა ჩვენი 61 მოთხოვნიდან 40 საჩივარი არ დააკმაყოფილა. არდაკმაყოფილების საფუძველი უმრავლეს შემთხვევაში შაბლონური და დაუსაბუთებელი იყო. დაფიქსირდა ორი შემთხვევა, სადაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თავიანთი ინიციატივით მოხსნეს მოთხოვნა. გამომდინარე იქედან, რომ ოქმის ადგილზე, ორიგინალი ვერსიის გაცნობის დროს, სადაც ციფრები უკეთ აღიქმებოდა, არსებული დისბალანსი აღმოიფხვრა.

5.2.2. საჩივრების განხილვა ჩაიომნულ/საქარტველომ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ სასამართლოებში 41 უბნის შემაჯამებელი ოქმების ბათილობა და ხმების ხელახლა გადათვლა მოითხოვა. სასამართლოებმა მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს 39 უბნის შემთხვევაში.

სასამართლომ საოლქო კომისიებს ბიულეტენების თავიდან გადათვლა მხოლოდ 2 შემთხვევაში დაავალა:

- ხელვაჩაურის #30.82.39⁶⁷ უბნის შედეგების გადათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ერთით მეტი ბიულეტენი ჰქონდა მიკუთვნებული „ქართულ ოცნებას“;
- ბათუმის #28.79.85⁶⁸ უბანზე აღმოჩნდა, რომ „გირჩს“ 36-ის ნაცვლად 4 ხმა ჰქონდა მიღებული.

შედეგები არსებული რეალობის მიხედვით ორივე შემთხვევაში შესწორდა.

5.2.3. საჩივრების განხილვა სააპელაციო სასამართლოებში

სააპელაციო სასამართლოებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შემთხვევები გაასაჩივრა. გარდა ამისა, ორგანიზაციამ მოგვიანებით უარი თქვა ქუთაისის #22.58.57⁶⁹ უბნის შედეგების გასაჩივრებაზე. ამ უბანზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არსებული პროცესის ფარგლებში გაიხსნა ჩანაწერთა წიგნი და გადამოწმდა ის საფუძველი, რის გამოც ოქმში დისბალანსი არსებობდა. აღმოჩნდა, რომ შესწორების ოქმში დაფიქსირებული მონაცემები შეესაბამებოდა სინამდვილეს. აქედან გამომდინარე, ეს უბანი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში აღარ გასაჩივრებულა.

სააპელაციო სასამართლოში ორგანიზაციის მიერ სულ 22 საჩივარი შევიდა, თუმცა არცერთი არ დაკმაყოფილდა.

5.2.4. მანუქის ერთ-ერთ საჩივრზე უბანზე დაფიქსირებული გაყარების ფაქტის შესახებ წარდგინილი საჩივრისა და საჩივრების განხილვა

არჩევნების დღეს მარნეულის #13.22.65 უბანზე მყოფმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ერთ-ერთმა დამკვირვებელმა შეამჩნია, რომ უბანზე ორმა პირმა მინიმუმ 15-ჯერ მისცა ხმა. დამკვირვებელმა ერთი და იმავე პირის მიერ ხმის სამჯერ მიცემის ფაქტი ვიდეოკამერითაა⁷⁰ კი დააფიქსირა. არჩევნების გაყარების შესახებ ასეთი მყარი მტკიცებულება ჩვენს სადამკვირვებლო მისიას არც ერთ არჩევნებზე არ დაუფიქსირებია, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ფაქტს სათანადო ყურადღება მიქცეოდა შესაბამისი უწყებების მხრიდან.

ვიდეო ჩანაწერში ნათლად ჩანს, რომ უბანზე მყოფი ადამიანი, რომელიც მოძრაობს სპეციალური სამკერდე ნიშნით, დროის მცირე მონაკვეთში სამჯერ მიდის რეგისტრატორთან, შემდეგ შედის

67 #30.82.39 უბნის შემაჯამებელი ოქმი: <https://bit.ly/3lQTKCh>

68 #28.79.85 უბნის შემაჯამებელი ოქმი: <https://bit.ly/33P3Aok>

69 #22.58.57 უბნის შემაჯამებელი ოქმი: <https://bit.ly/37Dq5xG>

70 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მიერ გასაჯაროებული ვიდეო ჩანაწერი, 31.10.2020: <https://bit.ly/2lkyGwL>

ხმის მიცემის ფარულ კაბინაში და ბოლოს ფურცელს სპეციალურ კონვერტში ათავსებს და ყუთში აგდებს. ვიდეო კადრებიდან ცხადია, რომ ამ პირის ქმედება კომისიის წევრებმა არათუ აღკვეთეს, არამედ ხელიც კი შეუწვეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ამ უბნის შემაჯამებელი ოქმი გაასაჩივრა⁷¹ და უბნის შედეგების გაუქმება მოითხოვა, თუმცა საჩივარი არცერთ ინსტანციაში არ დაკმაყოფილდა. ორგანიზაციამ გამოძიების დაწყების მოთხოვნით გენერალურ პროკურატურასაც მიმართა,⁷² თუმცა ჯერჯერობით ჩვენს განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია.

მომხდარი ფაქტის ობიექტური შეფასებისა და კანონიერი გადაწყვეტილების მიღების მზაობა, სამწუხაროდ დავის არც ერთ ეტაპზე, არცერთ საჯარო უწყებას არ უჩვენებია.

დავა მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში:

საქმის განხილვა მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში ფორმალური იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათთან წარდგენილი ვიდეომასალა ნათლად ასახავდა, ერთი და იმავე პირის მიერ ხმის მრავალჯერადად მიცემის ფაქტს, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.⁷³ განკარგულება, რომლითაც საჩივარი არ დაკმაყოფილდა, დაუსაბუთებლობასთან ერთად წინააღმდეგობრივიც იყო:

- საოლქო საარჩევნო კომისიამ თავდაპირველად განმარტა, რომ გაეცნო წარდგენილ ვიდეო ჩანაწერს და „მიიღო გადაწყვეტილება ძირითადი ყუთის ზედამხედველისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში“;
- საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილების მიხედვით, კომისიამ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების გადაწყვეტილება მიიღო იმიტომ, რომ „წარდგენილი მტკიცებულების ავთენტურობა ვერ დგინდება“;
- ამავე დადგენილებაში ვკითხულობთ: „ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას მიაჩნია, რომ აღნიშნული დარღვევა არ წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევას, რასაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოვლენაზე კენჭისყრის შედეგებზე ან/და საარჩევნო უფლების რეალიზებაზე“;
- საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობა საუბნო საარჩევნო კომისიის მამაკაც წევრს, საიათ კარაბაღლის დააკისრეს, სამივე ვიდეოჩანაწერში კი ჩანს, რომ ყუთის ზედამხედველი კომისიის წევრი ქალია.

ასეთი გაუგებარი გადაწყვეტილების გამო დავამ ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გადაინაცვლა.

დავა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში:

ბოლნისის რაიონულ სასამართლოში პროცესი თითქმის 4 საათის მანძილზე მიმდინარეობდა. საქმეს მოსამართლე თეა ლეონიძე იხილავდა. პროცესზე მონაწილე სახით დაიკითხა ორგანიზაციის დამკვირვებელი, ირაკლი ჩიქოვანი, რომელმაც უბანზე არჩევნების გაყალბების ფაქტი დააფიქსირა. ჩიქოვანმა დეტალურად აღწერა არჩევნების დღეს უბანზე მიმდინარე მოვლენები.

- პირმა, რომელმაც არაერთხელ მისცა ხმა, უბანზე იმყოფებოდა მთელი დღის განმავლობაში. იგი აქტიურად ეკონტაქტებოდა, როგორც უბანზე, ისე საარჩევნო უბნის გარეთ მყოფ პირებს, რის გამოც ირაკლი ჩიქოვანს გაუჩნდა განცდა, რომ მათს უმრავლესობას კარგად იცნობდა;
- ვინაიდან უბანზე ძირითადად ქართულად არ საუბრობდნენ, ირაკლი ჩიქოვანს არ ჰქონდა ინფორმაცია ამ პირის სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის შინაარსის შესახებ;

71 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ საჩივარი, 02.11.2020: <https://bit.ly/37JhZn4>
72 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიმართვა გენერალურ პროკურატურას, 04.11.2020: <https://bit.ly/2JZvbfK>
73 #22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის N 62/2020 განკარგულება: <https://bit.ly/37Dxi0F>

- კომისიის თავმჯდომარე აგრესიული იყო უბანზე მყოფი ერთ-ერთ დამკვირვებლის მიმართ, რომელმაც სხვა სახის დარღვევა დააფიქსირა. ამ დამკვირვებელმა განხორციელებული ზეწოლის გამო ტირილი დაიწყო;
- ირაკლი ჩიქოვანმა ვიდეო ჩანაწერი ფარულად გააკეთა. მას მობილური ტელეფონი იმგვარად ეჭირა, რომ სხვა პირებისთვის ვიდეო გადაღების ფაქტი შესამჩნევი არ ყოფილიყო.
- უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი განმარტებით უბანზე არსებული დაძაბული სიტუაციის გამო იგი თავს უსაფრთხოდ არ გრძნობდა, რის გამოც ორგანიზაციამ ვიდეომასალის გასაჯაროების შემდეგ მისი უბნიდან გამოყვანის გადაწყვეტილება მიიღო.

ირაკლი ჩიქოვანმა მის მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესახებ, უბნიდან გამოსვლამდე, ადგილზე მისულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს უამბო, თუმცა მათგან მიიღო ირონიული პასუხი იმის შესახებ, რომ ვიდეოჩანაწერი არაფერს ნიშნავდა და ის ფაქტის გასაჩივრების შემთხვევაშიც ვერაფერს დაამტკიცებდა.

ჩიქოვანის ჩვენების საპასუხოდ მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა შემდეგი განმარტებები გააკეთეს:

- მათი თქმით, ისინი ვიდეო ჩანაწერის „ავთენტურობას“, ანუ მის ნამდვილობას, ეჭვქვეშ არ აყენებდნენ. მათი პოზიციით, ისინი განკარგულებაში მითითებულ ტერმინ - „ავთენტურობაში“ გულისხმობდნენ, რომ ჩანაწერში არ ჩანდა ნათლად ბიულეტენების ყუთში მრავალჯერ ჩაყრის ფაქტი;
- მათ ივარაუდეს, რომ პირი სპეციალურ კონვერტს ყუთში კი არ აგდებდა, არამედ, შესაძლოა, უბრალოდ ყუთზე აკაკუნებდა.
- პასუხგაუცემელი დარჩა კითხვა, თუ რატომ დაეკისრა საუბნო საარჩევნო კომისიის მამაკაც წევრს დისციპლინური პასუხისმგებლობა, მაშინ როდესაც ვიდეოში ყუთის ზედამხედველი კომისიის ქალი წევრი იყო აღბეჭდილი;
- საოლქო საარჩევნო კომისიამ ასევე ივარაუდა, რომ შესაძლოა ვიდეოში ასახულმა პირმა მართლაც ჩააგდო რამდენჯერმე ფურცლები ყუთში, თუმცა არ დასტურდება, რომ ეს ფურცლები ნამდვილად ბიულეტენები იყო;
- კითხვაზე, გახსნეს თუ არა დალუქული დოკუმენტაცია, რათა ენახათ ყუთიდან რაიმე უცხო დოკუმენტაცია იქნა თუ არა ამოღებული, საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს საკითხი არ გამოუკვლევიათ.

ბოლნისის რაიონული სასამართლო სათათბირო ოთახში 2 საათის მანძილზე იყო გასული, საბოლოოდ კი ჩვენი მოთხოვნა შედეგების ბათილად ცნობის შესახებ არ დააკმაყოფილა,⁷⁴ თუმცა მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიას ბიულეტენების ხელახლა გადათვლა დაავალა. ამავე სასამართლომ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, ერთი პირის მიერ ყუთში გარკვეული დოკუმენტაციის მინიმუმ სამჯერ ჩაყრის ფაქტი, თუმცა დაუშვა, რომ შესაძლებელია, ეს არ ყოფილიყო ბიულეტენები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და კვლავ უბანზე შედეგების გაუქმება მოითხოვა. ამ პერიოდში მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავისი ინიციატივით აღასრულა გადაწყვეტილება და დალუქული დოკუმენტაცია გახსნა. პროცესს ჩვენი წარმომადგენელიც ესწრებოდა, სადაც გაირკვა, რომ დალუქულ დოკუმენტაციაში არანაირი უცხო დოკუმენტი არ ინახებოდა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ყუთში სწორედ ბიულეტენების ჩაყრისა და გაყალბების ფაქტი.

74 ბოლნისის რაიონული სასამართლოს N3/117-20 გადაწყვეტილება, 06.11.2020: <https://bit.ly/39O9idS>

დავა თბილისის სააპელაციო სასამართლოში

საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში მომხსენებელი მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილი⁷⁵ იყო. ის სასამართლო სისტემაში გავლენიანი მოსამართლეების ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია და სასამართლო სისტემისთვის არაერთ დამაზიანებელ გადანყვეტილებაში მიუღია მონაწილეობა. საქმეზე ცალსახა მტკიცებულებების მიუხედავად სააპელაციო სასამართლომ ჩვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.⁷⁶

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სასამართლოს წარუდგინა დამატებითი მტკიცებულება - უბნის ხელახლა გადათვლის აქტი,⁷⁷ სადაც ჩანს, რომ ყუთიდან დადგენილი ფორმის ბიულეტენის გარდა, სხვა დოკუმენტი ამოღებული არ ყოფილა, რაც თავის მხრივ უბანზე გაყალბების ცალსახა ფაქტზე მიუთითებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ყუთში დოკუმენტების მრავალჯერადად ჩაგდების ფაქტი. აღნიშნული გარემოება სააპელაციო სასამართლოს ეტაპზე არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ შეცვალა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება და განმარტა, რომ ყუთში დოკუმენტაციის მრავალჯერადად მოთავსების ფაქტი არ დასტურდებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაში მითითებულია, რომ:

- სასამართლომ ობიექტურად ვერ მოახერხა იდენტიფიცირება „ამ ადამიანთაგან ერთი და იგივე პირი შედის თუ არა საარჩევნო კაბინაში და იქიდან გამოსული აგდებს თუ არა რამდენჯერმე ყუთში რაიმე დოკუმენტს“. დამატებითი არგუმენტაცია ამ ფაქტთან დაკავშირებით, გადანყვეტილებაში მოცემული არ არის;
- სასამართლომ სარწმუნოდ არ მიიჩნია მონმის ჩვენება, რადგან მონმემ, სასამართლოს განმარტებით, უბანზე საფრთხის შემცველი გარემოს არსებობა ვერ დაასაბუთა. ამ არგუმენტის გასამყარებლად სასამართლო უთითებს, რომ თითქოს მონმე ირაკლი ჩიქოვანი დაუბრკოლებლად, ყველას დასანახად იღებდა ვიდეოს.

ამ ნაწილში სასამართლომ არასწორად და არასრულად გადმოსცა მონმის ჩვენება. ირაკლი ჩიქოვანმა პროცესზე განმარტა, რომ ცდილობდა ვიდეო შეუმჩნევლად გადაეღო და ტელეფონი იმგვარად ეჭირა, რომ იქ მყოფი ადამიანებისათვის ეს ფაქტი შესამჩნევი არ ყოფილიყო.

მომხდარი მოვლენების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ცალსახა და უტყუარი მტკიცებულებების მიუხედავად, დავის განხილვის არცერთმა ინსტანციამ საქმეზე ობიექტური გადანყვეტილება არ მიიღო. შედეგად, გაყალბების ცალსახა ფაქტის მიუხედავად, უბნის შედეგები, სადაც პარტია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ძალაში დარჩა.

75 „როგორ იმართება სასამართლო, დიმიტრი გვრიტიშვილი“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 13.06.2017: <https://bit.ly/36LFIns>

76 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 08.11.2020: <https://bit.ly/3n1w7OY>

77 #22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის N 72/2020 განკარგულება: <https://bit.ly/3oytaGh>

რეკომენდაციები

- საქართველოს პროკურატურამ სწრაფად უნდა გამოიძიოს მარნეულის #13.22.65 საარჩევნო უბანზე არჩევნების გაყალბების ფაქტი;
- კანონით უნდა გაიწეროს ის კონკრეტული შემთხვევები, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებული იქნებიან, ხელახლა გადათვალონ საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ბიულეტენები;
- საოლქო საარჩევნო კომისიებმა საჩივრების მიღებისა და განხილვის ერთგვაროვანი პრაქტიკა უნდა შეიმუშაონ.

6. საუბნო და საოლქო კომისიების პროფესიული ნიშნით დასანიშნი წევრების შერჩევის პროცესი

„საარჩევნო კოდექსში“ 2020 წლის 2 ივლისს შესული ცვლილებების თანახმად, „დაუშვებელია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირის არჩევა, რომელიც ბოლო საერთო არჩევნებში რომელიმე დონის საარჩევნო კომისიის წევრად პოლიტიკური პარტიის მიერ იყო დანიშნული.“⁷⁸ ბუგდიდის N67-ე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კანონის ამ ახალი მოთხოვნის მასიურ დარღვევას ჰქონდა ადგილი. საოლქო კომისიამ დაქვემდებარებულ საუბნო კომისიებში 642 წევრი დანიშნა, საიდანაც 102 წევრი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს პარტიის მიერ იყო დანიშნული (97 წევრი „ქართული ოცნება“, 3 წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 1 წევრი „ევროპული საქართველო“, 1 წევრი „პატრიოტთა ალიანსი“).

გარდა გემოაღნიშნული ამკარა კანონდარღვევისა, საოლქო და საუბნო კომისიებში პროფესიული ნიშნით ახალდანიშნული წევრები ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული არიან მოქმედ ხელისუფლებასთან, მუშაობენ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ან აქვთ ახლო ნათესაური კავშირი მმართველი პარტიის წარმომადგენლებთან. ასეთი სახის კავშირებს კანონი ინტერესთა კონფლიქტის კვალიფიკაციას არ ანიჭებს და, შესაბამისად, არც ზღუდავს, თუმცა ის ამცირებს საარჩევნო პროცესებისადმი ნდობას და ითვლება მანკიერ პრაქტიკად. აგრეთვე, ხშირ შემთხვევაში წინასწარ იყო ცნობილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთაგან ვინ იქნებოდა არჩეული კომისიის თანამდებობის პირებად.

რეკომენდაცია

- საჭიროა, საარჩევნო კომისიების პროფესიული ნიშნით დასანიშნი თანამდებობების შევსების პროცესის მეტი რეგლამენტაცია და მკაფიო საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამოყალიბება. უნდა შემუშავდეს კანდიდატთა შერჩევის ისეთი პროცედურები, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს ამ თანამდებობებზე პოლიტიკური პარტიების აქტივისტების დანიშვნის შანსებს.

7. „კანონმდებლის საქმე“

2020 წლის 7 ოქტომბერს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სამთავრობო კომისიის ყოფილი წევრები ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა დააკავა. მათ ბრალად საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევისკენ მიმართული ქმედების განხორციელება ედებათ (სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილი).

78 საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

გამოძიების დაწყების დრო, წინასაარჩევნო კონტექსტი, გამოძიების პროცესში გამოვლენილი დარღვევები, შერჩევითი მიდგომის ნიშნები და მმართველი პარტიის ლიდერების უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით გაკეთებული პოპულისტური განცხადებები აჩენს ეჭვს, რომ გამოძიება პოლიტიკურ მოტივაციებს ემსახურება და მიმართულია საქართველოს მოქალაქეებისთვის მცდარი წარმოდგენების შექმნისა და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისაკენ.

საქმის არსი

1994 წელს შეიქმნა სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისია. საქართველო და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ, რომ საზღვრის დადგენისას იხელმძღვანელებდნენ 1938 წელს შედგენილი 1:500 000-იანი მასშტაბის რუკით. კომისიის საქმიანობის შედეგად 1996-2007 წლებში მხარეები კომისიის დონეზე სასაზღვრო ზოლის დაახლოებით 66%-ზე - 303 კმ-ზე შეთანხმდნენ. ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ ივერი მელაშვილმა და ნატალია ილიჩოვამ კომისიაში საქმიანობისას განზრახ არ იხელმძღვანელებს 1936-1938 წლებში გამოცემული 1:200 000-იანი მასშტაბის რუკებით, რის შედეგადაც, შეიქმნა 34.8 კვ. კმ-ის საქართველოს საზღვრებს გარეთ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოქცევის საფრთხე. ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა უარყოფენ წარდგენილ ბრალდებას. მათი განმარტებით, 1937-1938 წლებში შედგენილი 1:200 000-იანი მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის შესწავლისა და ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ რუკა იყო ხარვეზიანი და შესაბამისად, გამოსაყენებლად უვარგისი. ისინი მათ დაკავებას მოახლოვებულ არჩევნებსა და წინა მთავრობის საქმიანობის დისკრედიტაციის მცდელობას უკავშირებენ.

რა ხარვეზები აქვს ბრალდებას

მიგვაჩნია, რომ ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვასათვის წარდგენილი ბრალდება უსაფუძვლოა, არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებიდან და ჩნდება ცალმხრივად ჩატარებული გამოძიების გონივრული ეჭვი შემდეგი გარემოებების გამო:

- 1. ნაჩქარევად წარმოებული გამოძიება:** გამოძიება 2020 წლის 17 აგვისტოს დაიწყო, ხოლო პროკურატურამ ბრალდებულები 7 ოქტომბერს დააკავა. მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე ათეულობით მოწმეა დაკითხული, არ არსებობს არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ბრალეულობას დაადასტურებდა. უფრო მეტიც, პროკურატურა არ დაელოდა დანიშნული ექსპერტიზების ნაწილის პასუხის მიღებას და დაკავების გადაწყვეტილება ცალმხრივად შეფასებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღო.
- 2. ექსპერტიზების დასკვნის არარსებობა:** საქმეში არ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას მიერ შექმნილი და კომისიაზე დამტკიცებული რუკები წინააღმდეგობაში მოდიოდა 1938 წელს შედგენილი 1:500 000-იანი მასშტაბის რუკასთან. უფრო მეტიც, პროკურატურას არ ჩაუტარებია ექსპერტიზა, რომელიც გადაამოწმებდა ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ვერსიას და დაადგენდა ნამდვილად ხარვეზიანი იყო თუ არა 1:200 000-იანი მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა.
- 3. პროკურატურის მოწმეების ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობები:** მოწმეთა ჩვენებებში, რომლითაც პროკურატურა ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ბრალეულობის დადასტურებას ცდილობს, წინააღმდეგობებია. ბრალდების მთავარი მოწმეების, მათ შორის დავით ხიდაშელის, სატელევიზიო ინტერვიუები განსხვავდება მათივე მიცემული ჩვენებებისგან. გარდა ამისა, პროკურატურას დღემდე არ გამოუკითხავს ის მოქმედი მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც საქმეში ფიგურირებენ. საინტერესოა, ის ფაქტიც, რომ დავით ხიდაშელი, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის⁷⁹ მიხედვით, რუსულ სპეცსამსახურებთან დაახლოებული პირია.

79 „ფორმულას წყაროს ცნობით, პროკურატურამდე გარეჯის რუკები რუსეთის სპეცსამსახურის გავლით მივიდა“, ფორმულა, 07.10.2020 წელი: <https://bit.ly/3dNQjQC>

4. დავით გარეჯის საკითხით მანიპულირება და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა: ბრალდება არ უკავშირდება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული ტერიტორიებს. მიუხედავად ამისა, მაღალი თანამდებობის პირები საკითხზე კომენტარებისას⁸⁰ ხაზს უსვამენ, რომ გამოძიებამ თავიდან აიცილა დავით გარეჯის დაკარგვის საფრთხე.⁸¹ თუ გავითვალისწინებთ დავით გარეჯის ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობას, ცხადია, რომ ამ სენსიტიური თემით მანიპულირება მოქალაქეებისთვის მცდარი წარმოდგენების შექმნასა და ოპოზიციური პარტიების (წინა მთავრობის წარმომადგენლების) დისკრედიტაციას ემსახურება. გარდა ამისა, მაღალი თანამდებობის პირები უგულებელყოფენ უდანაშაულობის პრეზუმფციას და არ ერიდებიან ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას სამშობლოს ღალატში დადანაშაულებას.

5. სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევა: ქართული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების მიხედვით, ბრალდებულებს უნდა მიეცეთ საკმარისი დრო და საშუალება საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. ადვოკატების მოთხოვნა, დაუყონებლივ გადაცემოდან საქმის მასალები, პროკურატურამ ერთი დღის დაგვიანებით დააკმაყოფილა. დაცვის მხარეს საქმის მასალები, რომლებიც შვიდი ტომისა და 1500 მეტი გვერდისაგან შედგებოდა, აღკვეთის ღონისძიების სხდომამდე დაახლოებით ორი საათით ადრე გადაეცა. ადვოკატებმა სხდომის გადადება მოითხოვეს, თუმცა მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ჩათვალა, რომ რამდენიმე საათი საკმარისი იყო საქმის მასალების სრულყოფილად გასაცნობად. პროცესზე მოსამართლემ განაცხადა, რომ ადვოკატებისაგან განსხვავებით, მან ეს რამდენიმე საათში შეძლო.

6. პატიმრობის დაუსაბუთებელი შეფარდება: პროკურატურამ პატიმრობის საფუძვლად ბრალდებულების მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენისა და მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელშეშლის საფრთხე მიუთითა. მიმალვისა და დანაშაულის ჩადენის ვარაუდი აბსტრაქტული იყო და მხოლოდ ჰიპოთეტურ დაშვებებს ეყრდნობოდა. პროკურორები საქმეში არსებული მასალების განსხვავებული ინტერპრეტაციის გზით შეეცადნენ მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელშეშლის საფრთხის დასაბუთებას. ამკარად მცდარი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდების მიუხედავად, მოსამართლემ უგულებელყო საქმის ფაქტობრივი გარემოებები, გაიზიარა პროკურორების არგუმენტები. ბრალდებულების პატიმრობა ძალაში სააპელაციო სასამართლომაც დატოვა, თუმცა არც ეს გადაწყვეტილება შეიცავდა პატიმრობის დასაბუთებას.

გარდა გამოძიებაში გამოვლენილი ხარვეზებისა, მნიშვნელოვანია აღნიშნული საქმის უფრო ფართო ჭრილში განხილვაც. გამოძიება მიმდინარეობს წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს მოქალაქეებისთვის უკიდურესად სენსიტიურ თემაზე. მსგავსი საკითხები წინასაარჩევნო პერიოდში მმართველ პარტიას ადრეც წამოუწვია, რაც შესაძლოა მიმართულია ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანისა და მათზე ზემოქმედებისკენ. განსაკუთრებით ყურადსაღებია და საგანგაშო სიგნალებს შეიცავს რუსეთთან დაკავშირებული პირების ამ საქმესთან შესაძლო შემხებლობა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთის ინტერესებშია საქართველოს არჩევნებში ჩარევა და დესტაბილიზაციის ახალი კერების გაღვივება, მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების დაძაბვის მცდელობის გზითაც.

80 „საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გადაცემაში „ნამდვილი რისკები““, ტელეკომპანია იმედი, 16.10.2020: <https://bit.ly/2IL0tWP>

81 „მამუკა მდინარაძე გადაცემაში „დღის კურიერი“, „ქართული ოცნების“ ფეისბუქ გვერდი: <https://bit.ly/3dMkQOO>

8. პოზიციური პოლიტიკური პაჩიების დიქიების ფარული ჩანაწერების ბავხელება

2020 წლის 6 ნოემბერს, ტელეკომპანია „იმედზე“ გამოქვეყნდა უკრაინულ ვებგვერდ www.obozrevatel.com-ზე განთავსებული ორი ფარული აუდიოჩანაწერი. უკრაინული გამოცემის ცნობით, ერთ-ერთ ვიდეო ჩანაწერში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია და ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, გუბაზ სანიკიძე საუბრობენ. ჩანაწერის შინაარსის მიხედვით, თემურ ალასანია მითითებებს აძლევს გუბაზ სანიკიძეს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ოპოზიცია და რა მოთხოვნები უნდა ჰქონდეს არჩევნების შემდეგ. რაც შეეხება მეორე ჩანაწერის შინაარსს, აქ, სავარაუდოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის სალომე სამადაშვილი გამოთქვამს უკმაყოფილებას პარტიის სიის ფორმირებასთან დაკავშირებით.⁸²

ტელეკომპანია „იმედის“ მიერ გავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერის ავთენტურობა დადგენილი არ არის. თავად სალომე სამადაშვილის განცხადებით, ჩანაწერი ავთენტური არ არის და ის სხვადასხვა საუბრების კომპილაციაა. მან ასევე განაცხადა,⁸³ რომ ინფორმაციას მის მიმართ განხორციელებული უკანონო მოსმენისა და ჩანაწერის თაობაზე დიპლომატიურ მისიას მიაწვდიდა. დეპუტატის თქმით,⁸⁴ ჩანაწერი რეალურად პარტია „ქართული ოცნების“ გავრცელებულია და არა უკრაინული ვებგვერდის.

„ქართული ოცნების“ დეპუტატობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, გიორგი ხელაშვილმა, 7 ნოემბერს პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე გავრცელებულ ჩანაწერებზე ისაუბრა.⁸⁵ მან ყურადღება ჩანაწერების შინაარსზე გაამახვილა და არა მისი მოპოვებისა და გავრცელების უკანონობაზე.

ფაქტს ასევე გამოეხმაურა საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარიაც, რომელმაც ზოგადად ფარული ჩანაწერების გავრცელების მანკიერ პრაქტიკაზე და ამ მიმართულებით არსებული კანონმდებლობის პრობლემურობაზე ისაუბრა: „მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სარჩელის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში რამდენიმე წლის წინ დასრულდა, საბოლოო გადაწყვეტილება დღემდე არ არის მიღებული“. მისივე თქმით „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია გამოქვეყნებული ჩანაწერების წარმომავლობა, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩანაწერების გამოქვეყნება ჩრდილს აყენებს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას და კითხვებს აჩენს მათ შესაძლო მონაწილეობაზე ან მათი საქმიანობის ეფექტურობაზე.“

ოპოზიციური პარტიის წევრების დისკრედიტაციის მიზნით ფარული აუდიო/ვიდეო ჩანაწერების გამოქვეყნებას ადგილი წინა არჩევნებშიც ჰქონდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ წინა წლების ანგარიშებშიც⁸⁶ აქტიურად წერდა⁸⁷ ამ მანკიერ პრაქტიკაზე და სამართალდამცავ ორგანოებს სწრაფი და ეფექტიანი გამოძიებისკენ მოუწოდებდა. ფარული მიყურადება სისხლის სამართლის დანაშაულია. სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტების სახელმწიფოს მხრიდან გამოუძიებელი რჩება.

82 „ფარულ ჩანაწერებზე სამადაშვილი დიპლომატებს მიმართავ“, ნეტგაზეთი, 06.11.2020: <https://bit.ly/3ov2m9S>

83 „სამადაშვილი ფარული სატელეფონო ჩანაწერის გავრცელების გამო მიმართავს დიპლომატიურ მისიებს“, რადიო თავისუფლება, 07.11.2020: <https://bit.ly/37JTV3P>

84 „ფარულ ჩანაწერებზე სამადაშვილი დიპლომატებს მიმართავ“, ნეტგაზეთი, 06.11.2020: <https://bit.ly/3ov2m9S>

85 „ქართული ოცნება“ ფარულ ჩანაწერებს დანაშაულის მტკიცებულებად მიიჩნევს, რადიო თავისუფლება, 07.11.2020: <https://bit.ly/3qxZ4EC>

86 „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2016: <https://bit.ly/2L9zBB3>

87 „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის“ საბოლოო ანგარიში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2018 წლის დეკემბერი: <https://bit.ly/3IOhMV0>

- საქართველოს პროკურატურა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მაქსიმალურად დისტანცირებული უნდა იყვნენ პოლიტიკური პროცესებიდან და ისინი არ უნდა იქნენ გამოყენებული საარჩევნო მიზნით რომელიმე პოლიტიკური ძალის დისკრედიტაციისთვის.

9. „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“ კანკაბის საქმე

პოლიტიკური პარტია „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ივნისის ბოლოდან აგროვებდა ხელმონწერებს, რათა პარლამენტისთვის საკანონმდებლო ინიციატივით მიემართა საბანკო სესხების დარეგულირების მოთხოვნით. საკანონმდებლო ინიციატივისთვის 25 000 ამომრჩევლის ხელმონწერაა საჭირო, რისთვისაც პარტიის წამომადგენლებმა ქალაქის ხალხმრავალ ადგილებში განათავსეს მსუბუქი კონსტრუქციის კარვები, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ხელმონწერით შეერთებოდნენ პარტიის ინიციატივას.

ხელმონწერისთვის განკუთვნილი კარვების გაშლა მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150³-ე მუხლის (თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის თვითნებური შეცვლა) დარღვევად მიიჩნია და პარტიის რეგულარული დაჯარიმება დაიწყო. ივნისიდან მოყოლებული 100 000 ლარზე მეტი ოდენობის ჯარიმა იქნა გამოწერილი, რასაც ყოველდღიურად ახალი ჯარიმებიც ემატებოდა.

კანონის სწორი ინტერპრეტაციისთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რეალურად პარტიის მიერ ორგანიზებულია დაურეგულირებელი საბანკო სესხების საწინააღმდეგო პროტესტი, რისთვისაც აგროვებს ხელმონწერებს, რომელიც ასევე პროტესტის ფორმაა და ამავე დროს პეტიციის სახეც შეიძლება შეიძინოს.

საპროტესტო შეკრების მიმდინარეობისას კარვის განთავსება კანონშესაბამისად არის მიჩნეული საერთო სასამართლოების პრაქტიკით, თუ ის არ ახდენს ადმინისტრაციული ორგანოს შენობის ან ტროტუარის ბლოკირებას. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლო 2018 წლის 9 თებერვლის N3ბ/170-18 გადაწყვეტილებაში⁸⁸ განმარტავს, რომ „[პირს] კანონით გარანტირებული აქვს უფლება, საჯაროდ და მშვიდობიანად გამოხატოს საკუთარი აზრი ქუჩის იმ ნაწილში და იმ ფორმით, რომელსაც თავად ჩათვლის მიზანშეწონილად. აზრის გამოხატვა არა მხოლოდ საუბრით, განცხადებებით, არამედ მდუმარე ფორმით ან **დროებითი კონსტრუქციების აგებით, შესაძლებელია თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.**“ 2016 წელს „პარტიზანული მებაღეობის“ საქმეში,⁸⁹ რომლებიც მოითხოვდნენ მისცემოდათ შესაძლებლობა, თბილისის მერიის წინ, სკვერში, მათ მიერ შერჩეულ ადგილას განეთავსებინათ კარავი, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიამაც კანონის ანალოგიური ინტერპრეტაცია მოახდინა: „შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება მოიცავს შეკრების გამართვის ადგილის, დროისა, ფორმისა და შინაარსის არჩევის უფლებას, რაც შესაძლებლად მიიჩნევა **დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობას**“. სრულიად იდენტურადაა კანონი განმარტებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის 2018 წლის 3 დეკემბრის №3/6098-18 განჩინებაშიც, სადაც საქმე პარლამენტის წინ კარვის დადგმის კანონიერებას ეხებოდა.

88 2018 წლის 9 თებერვლის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე ჯ.ე და ც.გ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო დეპარტამენტის წინააღმდეგ.

89 „სასამართლომ მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევა დაადგინა“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 09.5.2016, <https://bit.ly/3o3aeA3>

ამრიგად, პარტია „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებლის“ მიერ კარვების განთავსება პროტესტის გამოხატვის მიზნით სრულიად თავსდება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის ფარგლებში, მათი ათეულობით ათასი ლარით დაჯარიმება კი წარმოადგენს შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების დარღვევას და საარჩევნო კამპანიის წარმოებაში ხელშეშლას.

რეკომენდაცია

- თბილისის მერიამ პოლიტიკურ პარტიებს შეკრებისა და მანიფესტაციების უფლება არ უნდა შეუზღუდოს და „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელს“ უნდა გააუქმოს უკვე შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები.

თავი III. საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო მიზნით გამოყენება

საქართველოს ისტორიაში პირველად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები თითქმის პროპორციული წესით ჩატარდება. თუ ადრე მოქმედი პრინციპით პარლამენტის 150 დეპუტატიდან 77 წევრი პროპორციული წესით აირჩეოდა, ხოლო 73 - მაჟორიტარული წესით,⁹⁰ 2020 წელს უკვე 120 დეპუტატი აირჩევა პროპორციული წესით, ხოლო 30 - მაჟორიტარული წესით.⁹¹

ამ ცვლილების მიღებას წინ მძიმე და ხანგრძლივი პროცესი ახლდა. ხელისუფლებას სრულიად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის დაპირება ე.წ. „გავრილოვის ღამის“⁹² შემდეგ გამართული ფართომასშტაბიანი პროტესტის შემდეგ მოუწია.⁹³ მოგვიანებით გამოჩნდა, რომ ხელისუფლებამ დაპირებაარშეასრულა და კანონპროექტი, რომელიც პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებას ეხებოდა ჩავარდა.⁹⁴ ამ ფაქტს კვლავ ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი პროტესტები მოჰყვა,⁹⁵ საპროტესტო აქციებს ძირითადად სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილია“⁹⁶ ხელმძღვანელობდა. სამოქალაქო აქტივისტების, ოპოზიციური პარტიების და საერთაშორისო პარტნიორების აქტიური ჩართულობით ხელისუფლება კვლავ გახდა იძულებული მოლაპარაკების მაგიდასთან დამჯდარიყო. საბოლოოდ 2020 წლის 8 მარტს პოლიტიკური პარტიები, სხვა საკითხებთან ერთად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების 120/30 პროპორციით ჩატარებაზე შეთანხმდნენ.⁹⁷ შეთანხმება 2020 წლის 2 ივლისს კანონად იქცა.⁹⁸

საარჩევნო სისტემის გარდა, საკანონმდებლო რეფორმა შეეხო ისეთ საკითხებს, როგორცაა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, პარტიების დაფინანსება, გენდერული კვოტები, მედია რეგულაციები, საარჩევნო დავები და სხვა.⁹⁹ ცვლილებები „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ძირითადად დადებითად შეაფასა,¹⁰⁰ თუმცა საარჩევნო კანონმდებლობაში კვლავ დარჩა რამდენიმე ისეთი ძირითადი პრობლემა, რომელიც მმართველი პარტიის სასარგებლოდ მუშაობს და რომელთა გამოსწორების პოლიტიკური ნება ხელისუფლებამ არ აჩვენა.¹⁰¹ ასეთ საკითხებს მიუკუთვნება საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების არასამართლიანი წესი და პროფესიული ნიშნით კომისიის წევრების შერჩევის არასათანადო პროცედურა. გარდა ამისა, გარკვეული კითხვები გააჩინა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ „კორონავირუსით“ ინფიცირებული პირების, ასევე, კარანტინში და იზოლაციაში მყოფი პირების არჩევნებში მონაწილეობის საკითხის რეგულირებამ.

90 საარჩევნო კოდექსის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილი [17.03.2020 მდგომარეობით]
91 საარჩევნო კოდექსის 196-ე მუხლის მე-2 ნაწილი [25.09.2020 მდგომარეობით]
92 „რა მოხდა 20 ივნისს თბილისში — მოკლედ“, on.ge, 22.06.2020 წელი;: <https://bit.ly/3o70rj6>
93 „2019 - პროტესტი, აქციები, მწვავე სიგნალები“, რადიო თავისუფლება, 30.12.2019 წელი: <https://bit.ly/3jfyWt2>
94 „პროპორციული საარჩევნო სისტემის კანონპროექტს ხმა არ მისცა „ქართული ოცნების“ 35-მა დეპუტატმა“, რადიო თავისუფლება, 14.11.2019 წელი: <https://bit.ly/3nVZdAq>
95 „ოცნებიდან - რეალობამდე“, ამერიკის ხმა, 15.11.2019 წელი: <https://bit.ly/35d2CSM>
96 „ვინ არიან აქცია #სირცხვილიას ორგანიზატორები“, on.ge, 28.06.2019: <https://bit.ly/3kitQ00>
97 „ფასილიტატორების განცხადება საქართველოში პოლიტიკური დიალოგის შესახებ (8 მარტი)“, აშშ-ის საელჩო საქართველო: <https://bit.ly/3jeVOcn>
98 „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველო საკანონმდებლო მაცნე, 02.08.2020 წელი: <https://bit.ly/2TaqSPU>
99 იქვე.
100 „რა შეიცვალა საარჩევნო კანონმდებლობაში“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 06.08.2020: <https://bit.ly/3m38ipd>
101 იქვე.

1. საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი და პირობები

საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი წლებია პრობლემას წარმოადგენს და მისი რეფორმირების აუცილებლობაზე არაერთი ადგილობრივი¹⁰² თუ საერთაშორისო ორგანიზაცია საუბრობს.¹⁰³ ამ მიმართულებით პრობლემა საარჩევნო კოდექსში 2017 წელს შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებების გამო უფრო გამწვავდა. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა ცვლილებებამდეც არსებობდა, 2017 წელს შემოღებული რეგულაციებით მმართველ პარტიას კომისიაში უფრო მეტი წევრის ყოლის შესაძლებლობა გაუჩნდა, ვიდრე ცვლილებებამდე ჰქონდა, რამაც კომისიების კიდევ უფრო პოლიტიზება გამოიწვია. ხელისუფლებამ ამ პრობლემის მოგვარების ნება 2020 წელს განხორციელებული ცვლილებების დროსაც არ აჩვენა და მმართველი პარტიის სასარგებლოდ მოქმედი უსამართლო წესი უცვლელად დატოვა. ასევე, არსებითად უცვლელი დარჩა პროფესიული ნიშნით კომისიის წევრების არჩევის პროცედურა. მოქმედი წესი ვერ უზრუნველყოფს პროფესიონალი კადრების შერჩევას, რაც განსაკუთრებით არჩევნების დღეს არაერთ პრობლემას ქმნის. სადამკვირვებლო ორგანიზაციების საჩივრების დიდი ნაწილი, სწორედ ისეთ დარღვევებს შეეხება, სადაც დარღვევა კომისიის არაპროფესიონალიზმის და მიკერძოების შედეგია.¹⁰⁴

რეკომენდაციები

- საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი უნდა შეიცვალოს ორ ეტაპად:
 - პირველ ეტაპზე შეიძლება, შენარჩუნდეს შერეული შემადგენლობა და კომისიების ნაწილი დაკომპლექტდეს პროფესიული ნიშნით, მეორე ნაწილი კი პარტიების მიერ საპარლამენტო არჩევნების შედეგების საფუძველზე, მაგრამ არა დღეს მოქმედი გაუმართლებელი ფორმით: ერთ პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის უფლება უნდა ჰქონდეს და არა რამდენიმე წევრის, როგორც ეს ამჟამად არის;
 - მეორე ეტაპზე საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი საჭიროებს საფუძვლიან რეფორმირებას. ამ პროცესში მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართული ძირითადი პოლიტიკური პარტიები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

2. შენარჩუნებული საარჩევნო კომისიის დადგენილება N 45/20

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2020 წლის 19 ოქტომბერს დადგენილება მიიღო,¹⁰⁵ რომელიც განსაზღვრავს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლებისათვის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის შესაძლებლობას და წესს. დადგენილების შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ისე პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დადგენილების პროექტი სამუშაო ჯგუფის ბოლო შეკრების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ისე, რომ ცვლილებებზე მსჯელობის შესაძლებლობა არ ყოფილა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეხვედრაში

102 „არასამთავრობო ორგანიზაციები საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ახალ წესზე“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, 07.06.2017 წელი: <https://bit.ly/3o8h2MJ>

103 „პარლამენტის არჩევნები, 2016 წლის 8 და 30 ოქტომბერი, საბოლოო ანგარიში“, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, თებერვალი, 2017 წელი: <https://bit.ly/37rWhFN>

104 „რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ივნისი, 2018 წელი: <https://bit.ly/3o1ialn>

105 „სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის, საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების შექმნის, ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის N45/2020 დადგენილება: <https://bit.ly/3IZ9NVi>

მონაწილე პირებს არაადეკვატურად მცირე დრო განუსაზღვრა შენიშვნების წარმოსადგენად და მალევე, იმავე დღეს დადგენილება მიიღო. დადგენილების ძირითადი ნაწილი მისაღებია, თუმცა არსებობს რამდენიმე პრობლემა.

დადგენილების მიხედვით, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიაწოდონ იმ ამომრჩევლების სია, რომლებიც:

- „კორონავირუსით“ ინფიცირების გამო კენჭისყრის დღისთვის სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებს და სპეციალურად მოწყობილ სასტუმროებში იქნებიან განთავსებული;
- „კორონავირუსით“ გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, კენჭისყრის დღისთვის საკარანტინე სივრცეში იქნება მოთავსებული;
- თვითიზოლაციაში ყოფნის ან ბინაზე მკურნალობის გამო, კენჭისყრის დღისთვის არ შეუძლიათ კენჭისყრის შენობაში მისვლა.

მოცემული ამომრჩევლები ავტომატურად მოხვდებიან ცესკოს მიერ შედგენილ სპეციალურ სიებში, გარდა იმ ამომრჩევლებისა, რომლებიც თვითიზოლაციაში არიან ან ბინაზე მკურნალობას გადიან.¹⁰⁶ ისინი ვალდებული არიან თავად დაურეკონ ცესკოს სპეციალურ სიაში შეყვანის მოთხოვნით. ამისათვის ამომრჩევლებს მხოლოდ 2 დღე ექნებათ მიცემული, 24 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პოზიციით, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილი დადგენილებით არაგონივრულად მცირე დრო მიეცათ ადამიანებს ამ უფლებით სარგებლობისთვის, აღნიშნული წესი გარკვეული მანიპულაციის რისკებს ქმნის. მაგალითად მსგავს სიაში, მხოლოდ ზოგიერთი პარტიის მხარდამჭერების შეყვანა მოხდეს, ზოგიერთის კი - არა. ამ პროცესის მონიტორინგი თითქმის შეუძლებელი იქნება სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან.

106 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის N45/2020 დადგენილების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი: <https://bit.ly/3lZ9NVi>

თავი IV. ინსტიტუციური აღმინისტრაციული რესურსის რამდენიმე სახეობის გამოყენების ტენდენცია დაფიქსირდა. წინა არჩევნების მსგავსად, მათ შორის აღსანიშნავი იყო საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა წინასაარჩევნო შეხვედრებზე მობილიზება, ასევე, ადგილი ჰქონდა სავარაუდოდ უკანონო აგიტაციის რამდენიმე შემთხვევას. ამ არჩევნებზეც საარჩევნო კომისიები სოციალური ქსელების პირადი გვერდებით აშკარა აგიტაციის შემთხვევებს არ აღიარებდნენ საარჩევნო აგიტაციად, რაც პრობლემად რჩება. ტენდენციის სახე ჰქონდა მმართველი პარტიის საარჩევნო კანდიდატების მხრიდან სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვადასხვა საჯარო თუ კერძო პროექტის მონახულების პრაქტიკას. ასეთი შემთხვევები მთელი ქვეყნის მასშტაბით ფიქსირდებოდა და წინასაარჩევნოდ ხელს არ უწყობდა სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის მკაფიო ზღვრის არსებობას.

1. საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა მობილიზება და წინასაარჩევნო აბიტახიაში ჩაბმა

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ სულ 50 - მდე შემთხვევა დააფიქსირა, როდესაც საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომლები წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობდნენ მმართველი პარტიის სასარგებლოდ.

გამოვლენილი შემთხვევები საყურადღებოა იმ გარემოების გამო, რომ ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის შეხვედრებს მასობრივად ესწრებიან სწორედ საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით არიან პოლიტიკური თანამდებობის პირებზე სამსახურეობრივად დაქვემდებარებული პირები და შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ისინი საკუთარი ნების გარეშე მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში. ამით შესაძლოა ირღვეოდეს „საარჩევნო კოდექსის“ ის ჩანაწერი, რომელიც „კრძალავს სამსახურეობრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას.“ მაგალითისათვის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ბოლნისში, შეხვედრა ჰქონდა სკოლის მასწავლებლებთან. ერთ-ერთი მასწავლებელი ტელეკომპანია „მთავარის“ ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რა მიზნით არიან შეხვედრაზე მისულები, პასუხობს, რომ იქ „სკოლამ დაიბარათ“.¹⁰⁷

საარჩევნო კამპანიისთვის საჯარო მოსამსახურეთა მსგავსი მობილიზება, კანონის პირდაპირი დარღვევაც რომ არ იყოს, მინიმუმ ხელს უწყობს საჯარო სამსახურის უკიდურეს პოლიტიზებას, რაც მიუღებელია.

2. სავარაუდოდ უკანონო აბიტახია

საქართველოს „საარჩევნო კოდექსი“ წინასაარჩევნო აგიტაციას კენჭისყრამდე 60 დღის განმავლობაში (წინასაარჩევნო პერიოდი) არეგულირებს. ამ პერიოდში ზოგიერთ პირს სრულად აკრძალული აქვს აგიტაციის უფლება (მაგ.: მოსამართლე, საარჩევნო კომისიის წევრი), ხოლო სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურეობრივ ფუნქციებს.

107 „პედაგოგები სასწავლო პროცესს მონყვიტეს და გოგი მეშველიანთან შესახვედრად წაიყვანეს“, მთავარი არხი, 05.10.2020 წელი: <https://bit.ly/2H7Qqeg>

2020 წლის 2 ივლისს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებით,¹⁰⁸ საჯარო მოხელეების მსგავსად, სამუშაო საათებში წინასაარჩევნო აგიტაცია აკრძალა სსიპ-ებისა¹⁰⁹ და ა(ა)იპ-ების¹¹⁰ თანამშრომლებს, მათ შორის საჯარო სკოლების პედაგოგებს. აღნიშნული ცვლილება ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს.

2.1. აგიტაცია სოციალური ქსელის პირადი ანგარიშების მეშვეობით

საანგარიშო პერიოდში საჯარო მოხელეები განსაკუთრებით აქტიურ აგიტაციას ეწეოდნენ სოციალური ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით. მაგალითად, ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ პარტია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ „ფეისბუქზე“ აგიტაციას ადგილი ჰქონდა **ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის, მარტვილის, ფოთის, ხობის, ჩხოროწყუს, და თერჯოლის** მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლების მხრიდან სამუშაო საათებში. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წლებია მცდარი პრაქტიკა აქვს ჩამოყალიბებული,¹¹¹ რადგან წინასაარჩევნო პერიოდში „ფეისბუქის“ პირადი ანგარიშიდან განუვალ აგიტაციის ფაქტების შესწავლას არ მიიჩნევენ საკუთარი რეგულირების სფეროდ.¹¹² ეს პრაქტიკა ცესკოს ამ არჩევნებზეც არ შეუცვლია.¹¹³

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, წინა ანგარიშების მსგავსად, კვლავ განმარტავს, რომ აგიტაციის ამდენად ვიწროდ განმარტება ცდება „საარჩევნო კოდექსის“ მიზნებს და ვერ იქნება ნორმის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ეფექტიანი გზა. აგიტაცია საქართველოს „საარჩევნო კოდექსის“ მიხედვით, გარდა ამომრჩეველთა პირდაპირ მონოდებისა საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, არის, ასევე, ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას. საჯარო მოსამსახურეები საკუთარი აქტიური ქმედებით („ფეისბუქზე“ სააგიტაციო მასალის გაზიარება, პოსტის დაწერა), საჯაროდ გამოხატავენ თავიანთ მხარდაჭერას და აგიტაციას ეწევიან კონკრეტული პარტიის სასარგებლოდ.

რეკომენდაციები

- აუცილებელია, რომ საარჩევნო კომისიებმა სოციალური ქსელების მეშვეობით საარჩევნო აგიტაცია აღიქვან კანონის დარღვევად და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები;
- ამ პრაქტიკის შესაცვლელად, ასევე, შესაძლებელია, „საარჩევნო კოდექსში“ წინასაარჩევნო აგიტაციის ცნების განმარტებაში პირდაპირ ჩაიწეროს, რომ იგი სოციალური ქსელების პირადი გვერდის მეშვეობით აგიტაციასაც გულისხმობს.

2.2. სხვა შემთხვევები

22 სექტემბერს **მარნეულში** „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ზაურ დარგალის წინასაარჩევნო კამპანიას ესწრებოდა მარნეულის ოლქის 33-ე საარჩევნო უბნის კომისიის ნეიტრალური წევრი ფარმან ალაზოვი.¹¹⁴

108 საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველო საკანონმდებლო მაცნე, 02.07.2020 წელი: <https://bit.ly/2TaqS>

109 საჯარო სამართლის იურიდიული პირი

110 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

111 „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საქართველოში“, 2017, გვ. 14: <https://goo.gl/zyTmg1>

112 „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის“, საბოლოო ანგარიში, დეკემბერი, 2018 წელი, გვ. 26: <https://bit.ly/2IOavqk>

113 სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების საჩივარი და ცესკოს უარი ოქმის შედგენაზე: <https://sachivrebi.cec.gov.ge/#/48651>

114 „მარნეულში ზაურ დარგალის საარჩევნო კამპანიას 33-ე საარჩევნო უბნის ნეიტრალური კომისიის წევრი, ფარმან ალაზოვი, ესწრება“, droa.ge, 22.09.2020 წელი: <https://bit.ly/37iZQOC>

ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი, ნაირა სამსონიძე 26 სექტემბერს სოფელ წირაში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ანტონ ობოლაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრებს ესწრებოდა.¹¹⁵

„საარჩევნო კოდექსის“ მიხედვით საარჩევნო კომისიის წევრს აგიტაციაში მონაწილეობა ან აგიტაციის განწევა ეკრძალება დღის ნებისმიერ მონაკვეთში,¹¹⁶ შესაბამისად ზემოთ აღწერილი ორივე შემთხვევა კანონის დარღვევას წარმოადგენს.

25 სექტემბერს **ხელვაჩაურის** მერი, ჯუმბერ ვარდმანიძე სოფელ ჩხუტუნეთში წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობდა.¹¹⁷ ამომრჩევლებთან შეხვედრებს იგი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებთან ანზორ ბოლქვაძესთან და ფრიდონ ფუტკარაძესთან ერთად მართავდა. გავრცელებული ინფორმაციით შეხვედრას იგი სამსახურებრივი ავტომობილით ესწრებოდა. თავად ვარდანიძეს მედიასთან საუბრისას არ უარყვია არც შეხვედრაში მონაწილეობა და არც სამსახურებრივი ავტომანქანის გამოყენების ფაქტი, თუმცა მიიჩნევს რომ მას კანონი არ დაურღვევია. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ჯუმბერ ვარდმანიძეს, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირს, არ ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა, თუმცა მას ამ მიზნით სამსახურებრივი ავტომანქანით სარგებლობის უფლება აქვს შეზღუდული.¹¹⁸ შესაბამისად, ჯუმბერ ვარდმანიძის ქმედება ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებად უნდა შეფასდეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ამ ფაქტზე ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა და დამრღვევი პირის მიმართ ადმინისტრაციული ოქმის შედგენა მოითხოვა.¹¹⁹ კომისიამ სრულად გაიზიარა თავად ჯუმბერ ვარდმანიძის ახსნა-განმარტება, რომელმაც ამჯერად უარყო როგორც შეხვედრებში მონაწილეობის, ასევე ამ მიზნით სამსახურებრივი ავტომობილის გამოყენების ფაქტი, და საჩივარი არ დააკმაყოფილა.¹²⁰

3. ანთიპატივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების გამოყენებით

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით ხშირი იყო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული პროექტების „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გამოყენების ფაქტები. მსგავსი ტიპის აგიტაცია ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდის ოფიციალურად დაწყებამდე დაიწყო.

11 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, „ქართული ოცნების“ გენერალურ მდივან, კახა კალაძესთან, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ მდივან, ირაკლი ღარიბაშვილთან და თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ **ირაკლი ქადაგიშვილთან** ერთად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კართუბანში საბავშვო ბაღის მშენებლობის,¹²¹ ხოლო სოფელ კაბალში 300 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის¹²² მშენებლობის პროცესს გაეცნენ.

მსგავსი შეხვედრები გაგრძელდა წინასაარჩევნო პერიოდის ოფიციალურად გამოცხადების

115 „ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ‘ქართული ოცნების’ სააგიტაციო შეხვედრებს ესწრება“, სამხრეთის კარიბჭე, 29.09.2020 წელი: <https://bit.ly/3445RN8>

116 საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტი: <https://bit.ly/34grSse> [ბოლოს ნანახია 20.10.2020]

117 „ხელვაჩაურის მერი სამსახურის ავტომანქანით „ოცნების“ სააგიტაციო შეხვედრაზე“, ნეტგაზეთი, 25.09.2020 წელი: <https://bit.ly/34gxH93>

118 საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტი: <https://bit.ly/34grSse> [ბოლოს ნანახია 20.10.2020]

119 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ საჩივარი, 01.10.2020: <https://bit.ly/3kgtU10>

120 N83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის პასუხი, 09.10.2020 წელი: <https://bit.ly/34gu96K>

121 პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ფეისბუქ გვერდი, 11.08.2020: <https://bit.ly/344bs66>

122 პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ფეისბუქ გვერდი, 11.08.2020: <https://bit.ly/3lWWjte>

შემდეგაც. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სულ ასეთი 24-მდე შეხვედრა დააფიქსირა. მსგავსი შეხვედრები გაიმართა საქართველოს ყველა რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ, სადავოა, გამოვლენილი შემთხვევები რამდენად წარმოადგენდეს საარჩევნო კანონმდებლობის პირდაპირ დარღვევას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიიჩნევს, რომ ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების საარჩევნო აგიტაციის მიზნით გამოყენება არ წარმოადგენს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ართულებს სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიის გამიჯვნის საკითხს.

თავი V. ზინანსური ადინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენება

საქართველოს „საარჩევნო კოდექსი“ კრძალავს მხოლოდ არჩევნებამდე 60 დღის განმავლობაში საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსების ზრდას და ახალი პროგრამების წამოწყებას. აქ იგულისხმება ის, რომ აღნიშნულ პერიოდში არ უნდა მოხდეს კანონში ამ სახის ცვლილების შეტანა, თუმცა წინასწარ დაგეგმილი პროგრამის განხორციელებას კანონი არ კრძალავს. სწორედ ამიტომ ხელისუფლებას, როგორც წესი, უადვილდება ხოლმე ამ რეგულაციის გვერდის ავლა, თუნდაც იმით, რომ ბიუჯეტში ცვლილებებს წინასწარ დაგეგმავს და კონკრეტულ პროგრამების წინასაარჩევნოდ უპრობლემოდ განახორციელებს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ამ საკითხის შესწავლისას ჩვენ არამართო კანონის დარღვევაზე ვამახვილებთ ყურადღებას, არამედ ვაანალიზებთ იმ საბიუჯეტო პროგრამებსაც, რომლებიც კანონის დაცვით არის ინიცირებული და განხორციელებული, თუმცა არჩევნების შედეგებზე სერიოზული გავლენა შეიძლება ჰქონდეს.

ამ შემთხვევებში ჩვენ ვსაუბრობთ ხოლმე სახელმწიფო სახსრების საარჩევნოდ მოტივირებულ ხარჯვაზე, ანუ სიტუაციაზე, როდესაც არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ისეთი საბიუჯეტო პროგრამების ინიცირება ხდება, რომლებიც ძირითადად ამომრჩევლის გულის მოსაგებად არის გამიზნული და შეიძლება არ შეესაბამებოდეს ქვეყნის გრძელვადიან ინტერესებს. ამასთანავე, არსებობს განსაკუთრებული სოციალური დატვირთვის მქონე გარკვეული სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს მოსახლეობის ფართო ფენებისთვის თვალსაჩინო სოციალური სიკეთეს პირდაპირ გადაცემას. ამის მაგალითი შეიძლება იყოს სოციალური დახმარებებისა და სხვა სახის შეღავათების გაზრდა.

ჯანსაღი და კონკურენტული საარჩევნო გარემოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ასეთი პროგრამების ინიცირება არ მოხდეს არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე, რადგან ამით სახელისუფლო კანდიდატი/პარტია სერიოზულ უპირატესობას მიიღებს.

2020 წელს არ დაფიქსირებულა ცენტრალური ან ადგილობრივ ბიუჯეტის ცვლილება, რომლითაც დაირღვეოდა „საარჩევნო კოდექსის“ ბემით აღნიშნული რეგულაცია. რაც შეეხება საარჩევნოდ მოტივირებულ ხარჯებს, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „კორონავირუსის“ გავრცელების გამო ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებსაც საარჩევნო გარემოზეც ექნებოდა დიდი გავლენა.

აგვისტოს დასაწყისიდან საქართველოს მთავრობამ და სხვა საჯარო უწყებებმა 20-მდე სხვადასხვა ტიპის მასშტაბური სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივა წარმოადგინეს (იხილეთ **ცხრილი 2**). ასეთი პროექტების შეფასებისას აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პროექტი არჩევნებამდე მცირე დროით ადრე იქნა ინიცირებული, მათი უმრავლესობა ქვეყნისთვის რეალურად საჭირო ნაბიჯებად შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა, იმ ფაქტსაც ვერ გავუქვევით, რომ ასეთ პროგრამებს პარალელურად არჩევნებზეც ექნება დიდი გავლენა და მმართველ პარტიას გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე უპირატესობას მიანიჭებს.

ცხრილი 2. წინასაარჩევნოდ სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები

თარიღი	ინიციატორი	აღწერილობა
6 აგვისტო	პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია	კომუნალური გადასახადები ნოემბერ-თებერვალშიც იქნება დაფინანსებული, ანუ 200 კილოვატი დენის და 200 კუბური მეტრი გაზის მოხმარება ისევ დაკომპენსირდება სახელმწიფოს მხრიდან. ¹²³

123 „მთავრობა ნოემბრიდან თებერვლის ჩათვლით, კომუნალურ გადასახადებს დაასუბსიდირებს“, formulaneews.ge, 6.08.2020, <https://formulanews.ge/News/34716>

6 აგვისტო	პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია	მთავრობა 17 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს ერთჯერადად 200 ლარით დაეხმარება. ¹²⁴
6 აგვისტო	პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია	ყველა სოციალურად დაუცველი სტუდენტი, რომლის სოციალური ქულაც 150-მდეა, სახელმწიფოს მხრიდან 2020 წლის ერთი სემესტრის ანაზღაურებას მიიღებს. ¹²⁵
6 აგვისტო	პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია	80 000 თვითდასაქმებული, რომელმაც გაზაფხულზე მოქმედი პროგრამით ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები, დახმარებას მიიღებს. ¹²⁶
6 აგვისტო	თავდაცვის მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი	სამინისტრო უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სწავლის საფასურის 50%-იან თანადაფინანსებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის მათ სემესტრულად 750 ლარის ოდენობით „მინისტრის სტიპენდია“ დაენიშნებათ. ¹²⁷
13 აგვისტო	პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია	მთავრობა 2020 წლის დეკემბრამდე ვაშლის შესყიდვის სუბსიდირებას მოახდენს. პრემიერის განმარტებით, ყველა ის კომპანია, რომელიც აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთვება, დამატებით სუბსიდირებას მიიღებს 10 თეთრის ოდენობით. ¹²⁸
13 აგვისტო	პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია	ავტომანქანების განბაჟება გადავადდა 2021 წლის მარტამდე, ამ პერიოდში არ მოხდება საურავების დარიცხვა. ¹²⁹
20 აგვისტო	საქართველოს მთავრობა	საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების სია გაფართოვდა და თითოეული პაციენტის მედიკამენტებზე გამოყოფილი წლიური ლიმიტი 8 000 ლარით გაიზარდა. განხორციელებული ცვლილება ჯამში საქართველოს 40 ათასამდე მოქალაქეს შეეხო. ¹³⁰

124 „17 წლამდე ბავშვებს მთავრობა ერთჯერადად, 200 ლარით დაეხმარება“, on.ge, 6.08.2020, <https://bit.ly/31quFwS>

125 „სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ერთი სემესტრის სწავლას სახელმწიფო დაუფინანსებს“, on.ge, 6.08.2020, <https://bit.ly/35g6v9r>

126 „მთავრობის გადანაცვებით, თვითდასაქმებულები, რომლებმაც დოკუმენტაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს, 300-ლარიან დახმარებას მიიღებენ“, ინტერპრესნიუსი, 6.08.2020, <https://bit.ly/37qLprl>

127 „სამხედროებს და მათი ოჯახის წევრებს სწავლა 50%-ით დაუფინანსდებათ“, ნეტგაზეთი, 6.08.2020, <https://netgazeti.ge/news/472802/>

128 „მთავრობა არასტანდარტული ვაშლის შესყიდვის სუბსიდირებას მოახდენს“, ინტერპრესნიუსი, 13.08.2020, <https://bit.ly/3j9sl3B>

129 „ავტომობილების განბაჟება 2021 წლის მარტამდე გადავადდება“, ინტერპრესნიუსი, 13.08.2020, <https://bit.ly/349HVMVf>

130 „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების სია გაფართოვდა და წლიური ლიმიტი იზრდება 8 000 ლარით“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 20.08.2020, <https://bit.ly/3k9qEV7>

20 აგვისტო	საქართველოს მთავრობა	სტიქური მოვლენების შედეგად დაზარალებული ფერმერების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამას „დანერგე მომავალი“ ახალი კომპონენტი დაემატა, რომელიც მრავალწლიანი კულტურების ბაღებში სეტყვის, ქარიშხლისა და წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ნერგების ჩანაცვლებას ითვალისწინებს. ¹³¹
26 აგვისტო	აჭარის ა.რ.-ის, მთავრობა	აჭარაში ინვესტორებს, ვალდებულების შესრულების საშუალებათა პერიოდი გაუორმაგეს. თავდაპირველად მიცემული დამატებითი 6 თვის ვადა 12 თვემდე გაზარდა. ¹³²
31 აგვისტო	თავდაცვის მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი	მოქალაქეებს გორის სამხედრო ჰოსპიტალის დავალიანება ჩამოეწერებათ. 1 მლნ 600 ათასი ლარის ოდენობის დავალიანება გაუნუღდება 1 000-მდე ადამიანს, რომელთაც სამხედრო ჰოსპიტლის 2009 წლიდან ერიცხებათ ხანდაზმული დავალიანება (სამი და მეტი წელი) სხვადასხვა მომსახურების გამო. ¹³³
2 სექტემბერი	საქართველოს მთავრობა	2 სექტემბერს, წყალტუბოში ახალაშენებულ კორპუსში ბინები კიდევ 140-მა დევნილმა ოჯახმა მიიღო. ¹³⁴
3 სექტემბერი	პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია	კომპანიებს, რომლებიც ჩართულნი არიან სასტუმრო ბიზნესში, სესხის თანადაფინანსების პროგრამა 6-დან 12 თვემდე გაუხანგრძლივდება. ¹³⁵
22 სექტემბერი	სააგენტო „ანარმოე საქართველოში“	5-დან 18 ოქტომბრის ჩათვლით, მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამაზე ბიზნესიდეების მიღება გამოაცხადა. ამავე დროს, ყველაზე წარმატებული პროგრამის ბიუჯეტი 40 მილიონ ლარამდე გაიზარდა და საგრანტო პროგრამის გრანტის მოცულობის ბედა ზღვარი 30 000 ლარი გახდა. პროგრამაში გამარჯვებული მენარმეების თანამონაწილეობის თანხა კი 20%-ის ნაცვლად 10% გახდა, მაღალმთიან რეგიონებში კი, 5%. ¹³⁶
23 სექტემბერი	თბილისის მერი კახა კალაძე	87 ოჯახს საკუთრებაში გადაეცემათ საცხოვრებელი ფართები, რომლებიც დაკანონებული არ ჰქონდათ, თუმცა მასში წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ. ¹³⁷

131 პროგრამას „დანერგე მომავალი“ კომპონენტი ემატება, საქართველოს მთავრობა, 20.08.2020, http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=77088

132 „აჭარაში ინვესტორებს პანდემიის გამო დაწესებული საშუალებათა პერიოდი გაუორმაგეს“, ნეტგაზეთი, 4.09.2020, <https://bit.ly/2T5vx5u>

133 „წინასაარჩევნოდ, ლარიბაშვილი მოქალაქეებს სამხედრო ჰოსპიტლის დავალიანებას ჩამოაწერს“, რადიო თავისუფლება, 31.08.2020, <https://www.radiotavisupleba.ge/a/30813442.html>

134 „წყალტუბოში, ახალაშენებულ კორპუსში ბინები კიდევ 140-მა დევნილმა ოჯახმა მიიღო“, საქართველოს მთავრობა, 2.09.2020, <https://bit.ly/35aWLNf>

135 „პრემიერის განცხადებით, კომპანიებს, რომლებიც ჩართულნი არიან სასტუმრო ბიზნესში, სესხის თანადაფინანსების პროგრამა 12 თვემდე გაუხანგრძლივდება“, ინტერპრესნიუსი. 3.09.2020, <https://bit.ly/2H1mUa1>

136 „მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამა 5 ოქტომბერს დაიწყო“, enterprisgeorgia.gov.ge, 22.09.2020, <https://bit.ly/3j7Lxv>

137 „კახა კალაძე 87 ოჯახს საცხოვრებელ ფართს უკანონებს“, რადიო თავისუფლება, 23.09.2020, <https://bit.ly/3jgOmh3>

16 ოქტომბერი	შპს „საქართველოს მელიორაცია“	42 000 ფერმერის „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ 2012-2019 წლების დაგროვილი 8 000 000 ლარამდე ოდენობის დავალიანების სრულად ჩამოწმების შესახებ. გარდა ამისა სამელიორაციო მომსახურების 2020 წლის გადასახადისგან 33 325 აბონენტი გათავისუფლდა, დანაზოგმა 3 733 020 ლარი შეადგინა. ¹³⁸
18 ოქტომბერი	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	ქუთაისში, ახალაშენებულ კორპუსებში 274 ბინა ავარიულ შენობებში მცხოვრებ დევნილ ოჯახებს გადაეცემათ. ¹³⁹

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ყველა პროგრამა ერთნაირად არ უნდა შეფასდეს. ზოგიერთი მათგანის მაინცდამაინც წინასაარჩევნოდ ინიცირება საჭიროებას არ წარმოადგენდა და ისინი ცალსახად საარჩევნოდ მოტივირებულ სახელმწიფო ინიციატივად უნდა მივიჩნიოთ. კერძოდ, ამ კატეგორიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს შემდეგი ინიციატივები: (1) თავდაცვის სამინისტროს მიერ გორის სამხედრო ჰოსპიტალის მიმართ არსებული ხანდაზმული დავალიანებების ჩამოწმება; (2) თბილისის მერიის მიერ 87 ოჯახისთვის იმ ბინების დაკანონება, რომელშიც ისინი მანამდე, წლების განმავლობაში, ცხოვრობდნენ; და (3) დევნილთა სააგენტოს მიერ ქუთაისში, ავარიულ შენობებში მცხოვრებ დევნილებისთვის ბინების გადაცემის დაპირება. ვინაიდან რთულია იმის დასაბუთება, რომ ეს ინიციატივები ემსახურებოდა პანდემიის ან ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან საქმე ეხებოდა უკვე ხანდაზმულ დავალიანებას ჰოსპიტალის მიმართ და ბინებს, რომლებშიც უკვე დიდი ხანია ბენეფიციარები ცხოვრობდნენ. შესაბამისად ინიციატივების ამ პერიოდში განხორციელების ლეგიტიმური მიზეზი გაუგებარია და ცხადად იკვეთება ინიციატივების წინასაარჩევნო ხასიათი.

რეკომენდაცია

- ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე მასშტაბური სოციალური პროგრამების ინიცირებისგან, რათა ზიანი არ მიადგეს საარჩევნო სუბიექტებს შორის ჯანსაღ კონკურენციას.

138 „42 000 ფერმერს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ 2012-2019 წლების დავალიანება სრულად ჩამოეწმება“, პირველი არხი, 16.10.2020, <https://bit.ly/3kmeLLL>

139 „ქუთაისში, ნგრევად შენობებში მცხოვრებ დევნილ ოჯახებს 274 ბინა გადაეცემათ“, პირველი არხი, 18.10.2020, <https://bit.ly/2FCQQLz>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მონიტორინგმა გამოავლინა შემდეგი რეკომენდაციის გათვალისწინების აუცილებლობა:

- საგამოძიებო ორგანოებმა მაქსიმალურად სწრაფად და მიუკერძოებლად უნდა გამოძიონ არჩევნებში ჩართული მხარეების წინააღმდეგ მიმართული სავარაუდო ძალადობის, ბენოლის, ამომრჩევლის მოსყიდვის და სხვა დანაშაულის ნიშნების შემცველი საქმეები;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროაქტიულად და ოპერატიულად უნდა აქვეყნებდეს ინფორმაციას, არჩევნებთან დაკავშირებულ საქმეებზე გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ;
- საჭიროა, საარჩევნო კომისიების პროფესიული ნიშნით დასანიშნი თანამდებობების შევსების პროცესის მეტი რეგლამენტაცია და მკაფიო საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამოყალიბება. უნდა შემუშავდეს კანდიდატთა შერჩევის ისეთი პროცედურები, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს იმის შანსებს, რომ პოლიტიკური პარტიების აქტივისტები დაინიშნონ ამ თანამდებობებზე;
- საქართველოს პროკურატურა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მაქსიმალურად დისტანცირებული უნდა იყვნენ პოლიტიკური პროცესებიდან და ისინი არ უნდა იქნენ გამოყენებული საარჩევნო მიზნით რომელიმე პოლიტიკური ძალის დისკრედიტაციისთვის;
- თბილისის მერიამ პოლიტიკურ პარტიებს შეკრებისა და მანიფესტაციების უფლება არ უნდა შეუზღუდოს და „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელს“ უნდა გააუქმოს უკვე შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები.
- საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი უნდა შეიცვალოს ორ ეტაპად:
 - პირველ ეტაპზე შეიძლება, შენარჩუნდეს შერეული შემადგენლობა და კომისიების ნაწილი დაკომპლექტდეს პროფესიული ნიშნით, მეორე ნაწილი კი პარტიების მიერ საპარლამენტო არჩევნების შედეგების საფუძველზე, მაგრამ არა დღეს მოქმედი გაუმართლებელი ფორმით: ერთ პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის უფლება უნდა ჰქონდეს და არა რამდენიმე წევრის, როგორც ეს ამჟამად არის;
 - მეორე ეტაპზე საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი საჭიროებს საფუძვლიან რეფორმირებას. ამ პროცესში მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართული ძირითადი პოლიტიკური პარტიები და სხვა დაინტერესებული მხარეები.
- კანონით უნდა გაიწეროს ის კონკრეტული შემთხვევები, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებული იქნებიან, ხელახლა გადათვალონ საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ბიულეტენები;
- საოლქო საარჩევნო კომისიებმა საჩივრების მიღებისა და განხილვის ერთგვაროვანი პრაქტიკა უნდა შეიმუშაონ;
- საარჩევნო პროცესის მიმართ სანდოობის ასამაღლებლად საქართველოს აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს მუშაობა არჩევნების დღის პროცედურებში ელექტრონული საშუალებების დანერგვაზე;
- აუცილებელია, რომ საარჩევნო კომისიებმა სოციალური ქსელების მეშვეობით საარჩევნო აგიტაცია აღიქვან კანონის დარღვევად და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები;

- ამ პრაქტიკის შესაცვლელად, ასევე, შესაძლებელია, „საარჩევნო კოდექსში“ წინასაარჩევნო აგიტაციის ცნების განმარტებაში პირდაპირ ჩაიწეროს, რომ იგი სოციალური ქსელების პირადი გვერდის მეშვეობით აგიტაციასაც გულისხმობს;
- ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე მასშტაბური სოციალური პროგრამების ინიცირებისგან, რათა ზიანი არ მიაღგეს საარჩევნო სუბიექტებს შორის ჯანსაღ კონკურენციას.